

სამ განზომილებაში მოღვაწენი: კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულება

ამა თუ იმ ქართველი მონარქისა თუ ქართული სახელმწიფოს მონარქების ტიტულატურის ანალიზი წარმოგვიდგება მეტად სპეციფიკურ, მაგრამ ეფექტურ ინსტრუმენტად ჩვენი ქვეყნისა და ერის ისტორიის შესასწავლად.

ამ მიმართულებით კვლევას, ბუნებრივია, ადრეც სათანადო ყურადღება ეთმობოდა. ჯერ კიდევ 1905 წელს ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველ მეფეთა წოდებულებაში „საუცხოვოდ გამოიხატება საქართველოს თანდათანი გაერთიანების ისტორია და ის ნიადაგი, ის საფუძველი, რომელზედაც საქართველოს ხელმწიფის უფლება იყო დამყარებული“.¹ სანიმუშოა ჯემალ სტეფნაძის 1976 წლის ვრცელი სტატია „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“.² უკანასკნელი ხანის ნაშრომებიდან კი, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ლერი თავაძის პუბლიკაციები, სადისერტაციო ნაშრომის ჩათვლით;³ და, ასევე, მიხეილ ბახტაძის სტატიები.⁴ ახლებურ მოსაზრებებს შეიცავს ირაკლი ფალავას ბოლოდროინდელი ნაშრომიც.⁵

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სამამულო ისტორიოგრაფიაში შეუდარებლად მეტ ყურადღებას უთმობდნენ ბაგრატიოვანთა (რომელთა დინასტიაც საქართველოს გაერთიანების პროცესის სათავეში მოექცა) ტიტულატურას, როგორც საქართველოს გაერთიანებამდე, ასევე, შემდგომ პერიოდში (როდესაც ისინი უკვე გაერთიანებული ქართული სამეფოს მონარქები გახდნენ); ხოლო სხვა ქართული სახელმწიფოების მონარქთა ტიტულატურას, როგორც საქართველოს ისტორიის პირველწყაროს, ჩვენი აზრით, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პირველ რიგში, ვგულისხმობთ კახეთისა და შემდგომში კახეთ-ჰერეთის სამეფოს, საქართველოს აღმოსავლეთ ნანილში მდებარე წამყვან სახელმწიფოს, რომელიც ასევე de facto ცდილობდა ქვეყნის გაერთიანებას და ამ სამამულიშვილო პროცესში საგულისხმო წარმატებებსაც მიაღწია.

¹ ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, გვ. 11.

² სტეფნაძე, საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, გვ. 156-165.

³ თავაძე, ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა; თავაძე, კურაპალატის ტიტული, გვ. 63-100; თავაძე, მაგისტროსი საქართველოში.

⁴ ბახტაძე, ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში, გვ. 89-124; ბახტაძე, ქართული და ბიზანტიური ტიტულატურის ურთიერთმიმართება, გვ. 208-226; ბახტაძე, გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურა, გვ. 107-128.

⁵ ფალავა, საქართველოს მეფეთა წოდებულება.

რასაკვირველია, უყურადღებოდ არც ეგ საკითხი დარჩენილა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სამეცნიერო ლიტერატურის არსებითი პლასტიკური ქორეპისკოპოსის-ქორიკოზის წოდების შესახებ.¹ მიუხედავად ამისა, ერთიანი, შეძლებისდაგვარად ყოვლისმომცველი ნაშრომი, რომელიც ექსკუზიურად საქართველოს ამ მხარის მონარქთა ტიტულატურისადმი იქნებოდა მიძღვნილი, დავუშვათ, ჯემალ სტეფაძის ცნობილი სტატიის² მსგავსი, ჯერაც არ დაწერილა. არადა, სამეცნიერო მიმოქცევაში ახალშემოსული მასალა, პირველ რიგში, ნუმიზმატიკური, იძლევა საშუალებას საკითხს ახლებურად და უფრო განვრცობილადაც მივუდგეთ.

სწორედ ამ ლაკუნის შევსებას ვისახავთ ამოცანად. ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ კახეთის სახელმწიფოს მესვეურთა წოდებულება; ასევე, კახეთის მონარქთა მიერ შექმნილი კახეთ-ჰერეთის სამეფოს მონარქთა წოდებულება; გავაანალიზოთ მისი ევოლუცია, ზოგადი ისტორიული მნიშვნელობა.

რამდენიმე ფრაზით შევეხებით ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიასაც. კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურას გავაანალიზებთ ცალ-ცალკე, მისი ძირითადი კომპონენტების მიხედვით: 1) ქართული; 2) ბიზანტიური; 3) არაბული. შევეხებით ასევე 4) სომხური წყაროების ცნობებს.

თავიდანვე შეიძლება აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, ყველა წყარო არ არის თანაბრად სანდო.³ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათგან უფრო სარწმუნოს, რომლებიც, საფიქრებელია, მონარქის ოფიციალურ ტიტულატურას ასახავს. ესეთია: მონარქის სახელით / დაკვეთით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები; მათ მიერ გაცემული სიგელები; მათი მონეტები. ნაკლებ სარწმუნოა, და, შესაძლოა, შემქმნელის პირად ინიციატივას ნარმოადგენდეს, ისეთი პირველწყაროები, როგორიცაა სხვა პირთა სახელით / დაკვეთით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები, განსაკუთრებით კი - ხელნაწერთა მინაწერები და თანადროული, თუ, მით უფრო, მოგვიანო ეპოქის ნარატიული წყაროები; ამგვარ წყაროებში ასახული ტიტულატურა არაოფიციალურია. ვეთანხმებით მიხეილ ბახტაძეს, რომ სიგელებისგან („ოფიციალური იურიდიული დოკუმენტებისგან“) განსხვავებით, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური ძეგლები, თავისი ოფიციალურობის მიუხედავად, შეიძლება ნაკლულიც იყოს, სივრცის უკმარისობიდან გამომდინარე.⁴ თუმცა, კახეთისა და კახეთ-ჰერეთის შემთხვევაში, ბაგრატოვანთა

¹ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 255-285. იქვე იხ. ბიბლიოგრაფიაც.

² სტეფაძე, საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის.

³ ბახტაძე, გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურა, გვ. 107.

⁴ იქვე. თუმცა, ზოგჯერ ქართველი მონარქის მიერ გაცემულ სიგელშიც კი მისი წოდებულება არასტანდარტულად მიეთითებოდა. ფალავა, საქართველოს მეფეთა ტიტულატურა.

სამფლობელოებისაგან განსხვავებით, სიტუაცია განსხვავებულია - უშუალოდ ამ ქართული სახელმწიფოების მონარქთა მიერ გაცემული სიგელები, რამდენადაც ვიცით, არ შემოგვრჩა; გვაქვს მათ მიერ დამოწმებული სხვისი გაცემული სიგელები, სადაც კახეთ-ჰერეთის მონარქთა სრული თვითწოდებულება არ ჩანს. აქედან გამომდინარე, ყველაზე ოფიციალურ და სანდო წყაროდ ამ შემთხვევაში გვევლინება ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის თითოეული, ზემოთ ჩამოთვლილი, კომპონენტის შესწავლისას ცალკე გამოვყოფთ მის ოფიციალურ და არაოფიციალურ ქვეკომპონენტებს. განვიხილავთ აგრეთვე ამა თუ იმ კომპონენტისა თუ ქვეკომპონენტის გაჩენის ისტორიულ გარემოებებს და ისტორიულ მნიშვნელობას. ნაშრომის დასასრული ნაწილი კი ცალკეულ კომპონენტთა და ქვეკომპონენტთა თაობაზე დაგროვებული ფაქტობრივი მასალის ანალიტიკურ სითეზს - შეჯამებას ეთმობა.¹

ჩვენი ნაშრომისა და მსჯელობის საყრდენია მრავალგვარი ისტორიული მასალა (ჩამოთვლით ოფიციალურობის ხარისხისა და სანდოობის კლების მიხედვით): ნუმიზმატიკური მასალა (კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა მონეტების ბოლო დროის სენსაციურ აღმოჩენებს ვგულისხმობთ); ეპოქის ლაპიდარული ნარჩერები; ისტორიული საბუთები (მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილი); ქართული, ბიზანტიური, არაბული და სომხური ნარატიული წყაროები; პარალელური ისტორიული მასალა (რუის-ურბისის საეკლესიო კრების ძეგლის-დება). ბუნებრივია, ჩვენი შრომა შეუძლებელი გახდებოდა, რომ არა წინამორბედების ფაქტობრივი და ანალიტიკური მიგნებები.

კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის ქართული კომპონენტი

ცნობილი დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა წოდებას ატარებდა კახეთის მეფე - ქორეპისკოპოსისა თუ ქორეპისკოპოსის, ვფიქრობთ, დასასრულებელია. ეპიგრაფიკული მასალა, ცუდი დაცულობის მიუხედავად, ცალსახად და სარწმუნოდ მიუთითებს, რომ როგორც კახეთის, ასევე კახეთ-ჰერეთის მონარქებს ჰქონდათ ტიტული ქორეპისკოპოსი; იგივეზე მიუთითებს თუნდაც მეო-

¹ გამოყენებული გვაქვს შემოკლებები: - სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონში გადატანას, () ქარაგმის გახსნას, [] კი აღდგენილ აღგილს აღნიშნავს.

რეხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე მეტ-ნაკლებად თანადროული ნარატი-ული წყაროებიც.¹ მოვიყვანთ ეპიგრაფიკულ მასალას, რომელშიც სწორედ ეს ტიტულია მითითებული² (არ ვიცხობთ არცერთ ძეგლს, რომელშიც ქორი-კოზის წოდება იქნებოდა აღნიშნული):

ზედა ზნის წარწერა:³

კანკელის ფილა საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული (შ. ამი-რანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში), ჩამოტანი-ლია „ზედა ზნის მონასტრის იოანე ზედა ზნელის სახელობის ბაზილიკიდან“.⁴ ფილის ცენტრალურ ნაწილში სამეფო (ბიზანტიურ) სამოსელში გამოწყობილი ორი მამაკაცის ფიგურაა, რომლებიც ერთმანეთს ხელს აწვდიან.

(ჩვენგან) მარჯვენა ფიგურასთან იკავება წარწერის ჩვენთვის საინ-ტერესო ფრაგმენტი:⁵

... ყყისყი ...

[ქორ]ებისკო[პოსი]

ირინე ნიკოლეიშვილის აზრით, ფილაზე გამოსახული ქორეპისკოპოსი კვირიკე III-ეა; ავტორის არგუმენტები სარწმუნოა: ფილაზე მითითებული ვაჩნას გაიგივება კვირიკე III დიდის ბაბუასთან, ვაჩნა წირქულელთან; მეორე ფიგურის (თანმხლები წარწერის საფუძველზე - „ურდუს მე[ფე]“) გაი-გივება ურდურე მეფესთან (და არა თეოდოსი აფხაზთა მეფესთან), რომელ-მაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კვირიკე III-ის ცხოვრებაში.⁶

¹ ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 151-153. ბადრიძე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის, გვ. 87-99.

² აბასთუმნის წარწერაში, ჩვენი აზრით, ქორეპისკოპოსის წოდება მითითებული არ არის. შდრ. ჰაპუშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 271; მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 9-10. გრაფემების კომბინაცია

ჭიშტ ჭიშტ

ჭარეს ცხეცვიყი

...

შეუდარებლად უფრო ლოგიკურად და მართებულად იხსნება როგორც

ქ(ართ)ვ(ელ)თა ერ(ის)თ(ავის)ა

ქ(ისე)პ(უ)ლ(ი)ს ც(ი)ხ(ე)ს(ა)თა ბო(ძე)ბ(ი)თა

...

ვიდრე, როგორც

ქ(ა)ვთა[რ] ერთა

ქ(ო)რ(ე)პ(ისკო)ზ(ი)ს(ა) ც(ი)ხ(ი)სთა(ვ)ობა[სა]

...

ქართული წარწერების კორპუსი, გვ. 101-103, ფოტოტაბულა 20, 1-2.

³ ნიკოლეიშვილი, კვირიკე დიდის გამოსახულება ზედა ზნის კანკელის ფილაზე, გვ. 17-23.

⁴ იქვე, გვ. 17.

⁵ მოგვაქვს თეიმურაზ ბარნაველის ჩანახატის მიხედვით. ბარნაველი, კახეთის ის-ტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 73-74.

⁶ ნიკოლეიშვილი, კვირიკე დიდის გამოსახულება ზედა ზნის კანკელის ფილაზე, გვ. 18-21.

ალავერდის ნმ. გიორგის ტაძრის კანკელის წარწერა:¹

ალავერდის მონასტერში შენახულია „მწვანე ფერის ქვის ორმოცდა-ცხრა ფრაგმენტი“; ოციოდე ნატეხის დეკორის მსგავსების მიხედვით დადგენილია, რომ ისინი დამტვრეული კანკელის ფრაგმენტებს წარმოადგენს.²

ორ ფრაგმენტზე (რომელთაგან მეორე პირველის გაგრძელება) შემორჩენილია წარწერა:³

ჰი ფიქ- / -ჰეს

ამოხსნა:

კ(ვირიკ)ე ქორ(ე)ბ(ის)კ(ოპო)სი

მოხსენიებული კვირიკე ქორეპისკოპოსი გიორგი გაგოშიძეს სარწმუნოდ კვირიკე III დიდთან ჰყავს გაიგივებული: ალავერდის ტაძარი მის ზეობაში აიგო; თეამის ტუფიდან დამზადებული კანკელი წარმოებულია XI საუკუნის პირველ მეოთხედში მოქმედი სახელოსნოს მიერ; იგივე პერიოდზე მიუთითებს დეკორის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზიც.⁴

თორლას (თოლას) წარწერა:⁵

ქვა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება. სავარაუდოდ, თორლას (თოლას) ციხიდანაა ჩამოტანილი.

წარწერის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი:⁶

... ჰესენქცია

... ჟიქც ზე ჰეს

... ჰავეცია

ამოხსნა:

... ახსართ(ა)ნ

[ქო]რეპ(ისკოპოს)ა და ... რ(ა)ნთ(ა) და კახ-

[თ(ა)] მფლ(ო)ბ(ე)ლი ...

მოხსენიებულია ახსართან ქორეპისკოპოსი, რანთა და კახთა მფლობელი. პალეოგრაფიული მოსაზრებებით თეიმურაზ ბარნაველი მიიჩნევდა რომ ეს არის აღსართან II-ისა (1102?-1104) და არა აღსართან I-ის (10XX?-1084?) წარწერა.⁷

ქორეპისკოპოსი მრავალგზის მოხსენიებულია “ქართლის ცხოვრებაში”, “მატიანე ქართლისაში”; მართალია, ხშირია სიტყვის დამახინჯება,

¹ გაგოშიძე, ალავერდის ტაძრის თავდაპირველი კანკელის ფრაგმენტები, გვ. 24-31.

² იქვე, გვ.24.

³ მოცემულია გიორგი გაგოშიძის მიხედვით (იქვე, გვ. 24, 30).

⁴ იქვე, გვ.24-28.

⁵ ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 92-95. შდრ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 12-13, სურ. XI, 3.

⁶ მცირედი შესწორებით, თეიმურაზ ბარნაველის მიხედვით არის მოცემული. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 94.

⁷ იქვე, გვ.95.

მაგრამ, მაინც, ზოგან ქორეპისკოპოსიც გვხვდება, ქორიკოზი კი არსად.¹ ტერმინი ქორეპისკოპოსი ასევე მრავალგზის გვხდება ქართლის ცხოვრების სომხურ თარგმანში და სხვადასხვა სომხურ ხარატიულ პირველწყაროში; ასევე ერთ არაპულ პირველწყაროში (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

როგორც ჩანს, კვირიკე III იყო პირველი ქორეპისკოპოსი, რომელმაც მიიღო მეფის ტიტული. ყოველ შემთხვევში, მისი წინამორბედები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნარატიულ წყაროებში პრაქტიკულად ექსკლუზიურად ქორეპისკოპოსად იწოდებიან;² ხოლო „მატიანე ქართლისაძი“ კი „დიდი“ კვირიკე III უკვე „რანთა და კახთა მეფეა“ (იმავე თხზულებაში, შემდგომ - „მეფე“).³ გარდა ამისა, გვაქვს პირდაპირი ჩვენებაც, თუნდაც ძალიან გვიანდელ წყაროში - ვახუშტის მიხედვით, „კურიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა“.⁴

ნარატიულ წყაროებს ადასტურებს ეპიგრაფიკაც. ვგულისხმობთ ვრცელ ეპიტაფიას, რომელიც 2017 წელს აღმოაჩინეს - სოფელ კალაურადან (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) ხუთიოდ კილომეტრში (სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით) მდებარე წმ. იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსში.⁵ ეპიტაფიის მარჯვენა ნაწილში მოხსენიებულია⁶

¶

Ծ...-

¶ Է...-

¶ ՈՒԹ-

ԽԾՎԵՆ-

ԽԿՊ...

ԸԵԿԾ-

ԽՊԲԺՊ

...ԽՓ

ԵԼ(Ե)ՆԵ

Ա[Ե]ԴՐՓՁ]-

¹ მატიანე ქართლისა, გვ. 256-266, 280-282.

² ერთადერთი გამონაკლისია ფავნელის დაწერილი. ენუქიძე, სილოგავა, შოშია-შვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 16-19. მას ქვემოთ დავუბრუნდებით, კახეთ-ჰერეთის მონარქთა მიერ ბიზანტიური ტიტულებით სარგებლობის განხილვისას.

³ მატიანე ქართლისა, გვ. 280-282.

⁴ ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 561.

⁵ გაგოშიძე, ეპიტაფია კალაურის ნმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, გვ. 124-127.

⁶ ტექსტი მოგვაქვს გიორგი გაგოშიძის მიხედვით: ეპიტაფია კალაურის ნმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, გვ. 125.

ლი ას[უ]-

ლი ლ(მრთი)ვ დ-

იდ(ე)ბ(უ)ლი-

სა კ(პრიკ)ე...

ც(ო)ლი დ[ე]-

ემეტრე

...ზთ¹

ეპიტაფიის ქვედა ნაწილში კი²

... ხე ქანდაქ შე ხეც ძო- ძო ძო -

ჭ ...

... კ(პრიკ)ე რანთა და კ(ა)ხთა მ(ე)ფ(ი)ს-

ა ...

გამომცემელი პალეოგრაფიული არგუმენტების საფუძველზე დასახელებულ ისტორიულ პირს, რანთა და კახთა მეფის წოდების მფლობელს, ძალიან სარწმუნოდ მიიჩნევს კვირიკე III-დ, და არა კვირიკე IV-დ (1084?-1102).³ საყურადღებოა, რომ რანთა და კახთა მეფეს შეიძლებოდა პრაქტიკულად იდენტური, მაგრამ, მანც, განსხვავებული ტიტულიც ეტარებინა - რანთა და კახთა მფლობელი (იხ. ზემოთ: თორდას (თორდას) წარწერა). რანთა და კახთა მეფის წოდებულება დავით IV აღმაშენებელმა, ბუნებრივია, სწორედ კახეთ-ჰერეთის სამეფოს ანექსიის შედეგად შეიძინა.

¹ როგორც ვხედავთ, წარწერის მიხედვით, კვირიკე III დიდის ასული ელენე, რომლის ეპიტაფიისაც წარმოადგენს აღნიშნული წარწერა, გათხოვილი იყო ვინმე დემეტრეზე. გიორგი გაგომიძეს გამოთქმული აქვს ფრთხილი ვარაუდი, აღნიშნული დემეტრე ხომ არ შეიძლება ყოფილიყო გიორგი I-ის ვაჟიშვილი დემეტრე უფლისნული, ბაგრატ IV-ის ცნობილი მოწინააღმდეგე; ამასთან, პატივცემული ავტორის აზრით, „ელენე დედოფლის ქმრის დემეტრეს საკითხი ბუნდოვანია და მისი გარკვევა სხვა დამატებით ცნობებს და კვლევას საჭიროებს“ (გიორგი გაგომიძე, ეპიტაფია კალაურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, გვ. 125-126). სავსებით შესაძლებელია, რომ პატივცემული მეცნიერი მართალია. ამ შემთხვევაში წარწერის უშუალოდ დემეტრეს სახელის მომდევნო ფრაგმენტი შეიძლება აღსდგეს როგორც [აფხაზთა]. თუკი ოდესმე შესაძლებელი გახდება მტკიცება, რომ კვირიკე III-ის სიძე გიორგი I-ის ვაჟი იყო, მაშინ დამატებითი მასალა მოგვცემა ამ ორ ქართველ მონარქს მორის ურთიერთკავშირის შესახებ; პირველ რიგში განსახილველი იქნება შემდეგი გარემოებები, იქნებ განპირობებული დამატებითი ნათესაური კავშირის არსებობით: 1) დატყვევებული კვირიკე III-ის სტატუსი დასავლურ-ქართულ სამეფო კარზე და მისი ფიზიკური გადარჩენა; 2) ბაგრატ III-ის გარდაცვალებისთანავე კვირიკე III-ის განთავისუფლება და კვლავ კახეთ-ჰერეთის დაპატრონება; 3) კვირიკე III-ის მიერ საქართველო-ბიზანტიის ომის პერიოდში გიორგი I-სთვის აღმოჩენილი სამხედრო დახმარება.

² იქვე, გვ. 125.

³ იქვე, გვ. 125-126.

საყურადღებოა ასევე, რომ კახეთ-ჰერეთის მეფე ზოგჯერ კმაყოფილდებოდა უბრალო, მინიმალისტური წოდებით მეფე. ამ ტიტულს ატარებს კვირიკე მოგვიანებით ხახულის კარედში ჩასმულ, საფიქრებელია, კვირიკეს დაკვეთით შესრულებულ მინანქროვანი სანანილე ჯვრის წარწერაში; ცალ მხარეს, ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავზე მითითებულია დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა:¹

ჭარბი ხელი

ამოხსნა:

ქ(რისტ)ე ად(იდ)ე კ(არიკ)ე მ(ე)ფ(ე)

იქვე, ბერძნულ წარწერაში, იგივე პიროვნება უკვე მაგისტროსის ბიზანტიურ ტიტულს ატარებს; ქვემოთ მოგვყავს არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც ეს ისტორიული პირი კვირიკე III დიდია და არა კვირიკე II.

მხოლოდ მეფის ტიტულს ატარებს ასევე კვირიკე III-ის მემკვიდრე გაგიკი ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესიის წარწერაში (ზემო რელიეფური ჯვრის მკლავზეა მოთავსებული); შესწორებული წაკითხვით:²

ჭარბი

ჭარბი

ამოხსნა:

ქ(რისტ)ე ად(იდ)ე

გ(ა)გ(ი)კ მ(ე)ფ(ე)

პალეოგრაფიული ნიშნებით თეიმურაზ ბარნაველი ამ წარწერას X საუკუნის დამლევითა და XI საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს, რასაც სრულად შეესაბამება ისტორიული პირის სახელი და ტიტული - გაგიკე მეფე; ცნობილია, რომ კვირიკე III დიდის შემდეგ კახეთ-ჰერეთის ტახტზე ავიდა მისი დისპვილი, გაგიკი.³

მსგავსად ამისა, მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილშიც კ(არიკ)ე⁴ ატარებს ტიტულს მეფე - „ღ(მრ)თივ დიდ(ე)ბ(უ)ლნო, ძლიერო ბ(ა)გრ(ა)ტ აფხაზთა მ(ე)ფ(ე)ო და ნ(ე)ბითა ღ(მრ)თის(ა)ითა, ყ(ოვ)ლისა აღმ(ო)ს(ა)ვლეთისა კურაპალ(ა)ტო, და ძლიერო მეფეო კ(არიკ)ე“...; „მეცა, კ(არიკ)ე შეფ(ე)სა, დისწ(უ)ლსა კ(არიკ)ე მ(ე)ფის(ა)სა ჭელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია“.⁵

ნარატიულ წყაროებში კახეთ-ჰერეთის მონარქები ასევე მეფედ იწოდებიან, ორ ისტორიულ თხზულებაში - „მატიანე ქართლისა“ და „ცხორებაა

¹ იხ. ილუსტრაცია ლეილა ხუსკივაძის ნაშრომში. ხускиვაძე, *Грузинские эмали, фотографии* XIII.

² თეიმურაზ ბარნაველთან მცირედი უზუსტობაა (ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 148-150).

³ იქვე, გვ. 149-150.

⁴ მის ვინაობას ქვემოთ შევეხებით.

⁵ ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 30.

მეფეთ-მეფისა დავითისი“: კვირიკე III,¹ გაგიკი,² აღსართან I,³ კვირიკე IV,⁴ აღსართან II.⁵

ერთ-ერთ ყველაზე არაოფიციალურ პირველწყაროში, რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავის ანდერძში მეფის ტიტულით არიან მოხსენიებულნი გაგიკი, და მისი ძე აბაზ(ი?): „ესე დავნერე და მოვაჭსენე პრწყინვალესა მეფესა აბაზს უმბრნამესს(ა) შვილსა სულკურთხეულისა გაგიკ მეფისასა“;⁶ „მეფობასა ... და კახთა და რანთა ზ(ედ)ა ხსართანან კურაპალატისა და ძმათა მისთა“.⁷

საზოგადოდ, რანთა და კახთა მეფის შემოკლება მეფემდე, ოფიციალური ტიტულატურის შემთხვევაშიც კი, საფიქრებელია, წარწერის განსათავსებლად სივრცის დეფიციტით იყო განპირობებული.

* * *

განვიხილოთ კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ქართული წოდებულება და მასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი.

დავიწყოთ კახეთის მონარქთა, ჩანს, თავდაპირველი ტიტულით - ქორეპისკოპოსობით. ქორეპისკოპოსის შემთხვევაში საერო და სასულიერო ხელისუფლების შერწყმა დაწვრილებით, ვრცელი ლიტერატურის დამუშავებით, განხილული აქვს თენგიზ პაპუაშვილს.⁸ გიორგი მელიქიშვილის ტევადი ფორმულირებით, „ის, რომ სამთავროს სათავეში მდგომი პირი საეკლესიო ტიტულს ატარებს („ქორეპისკოპოსი“ - ბერძნულად უსამწყსო ეპისკოპოსს ერქვა), ახსნას პპოვებს მთიელთა შორის დამოწმებულ ვითარებაში, როდესაც ხალხის სათავეში მდგომი პირებისათვის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ხევისბერებისათვის⁹) დამახასიათებელია სწორედ საერო და საეკლესიო მეთაურის ხელისუფლების გაერთიანება. კახეთის მთავრის ხელისუფლებაც, ეტყობა, მთიელთა (ამ შემთხვევაში - წანართა) ასეთი მეთაურის ხელისუფლებიდან უნდა იყოს წარმომდგარი“.¹⁰ თენგიზ პაპუაშვილის მიხედვით კი, შემთხვევითი არაა, რომ XV საუკუნეში საქართველოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილ გვიანფეოდალურ კახეთის სამეფოში სადოროების სათავეში სწორედ ეპისკოპოსები ჩადგნენ.¹¹ თითქოს ლოგიკური

¹ მატიანე ქართლისა, გვ. 281-282.

² იქვე, გვ. 281, 284.

³ იქვე, გვ. 290, 298, 305.

⁴ იქვე, გვ. 309.

⁵ იქვე, გვ. 309, 311.

⁶ კლდიაშვილი, გარეჯა - კონსტანტინოპოლი, გვ. 145-146.

⁷ იქვე.

⁸ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 255-285.

⁹ მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 53-54.

¹⁰ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 285.

და დამაჯერებელია¹ - ერთსა და იმავე ტერიტორიაზე საერო და სასულიერო ხელისუფლების შერწყმის სამი შემთხვევა შეიძლება ნამდვილად შემთხვევითობას არ წარმოადგენდეს.

კონკრეტულ ჰიპოთეტურ მოდელს გვთავაზობს შოთა ბადრიძე, რომლის თანახმადაც „კახეთის მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი წარმოშობილი უნდა იყოს წანართა მოქმედების არეში ჩვეულებრივი საეკლესიო თანამდებობის - ,ქორეპისკოპოსის‘ ფეოდალიზაციისა და მის მიერ [იგულისხმება, ცხადია, თანამდებობის მფლობელი თუ მფლობელები - ი. ფ.] საერო ხელისუფლების მიტაცების გზით“;² „ქორეპისკოპოსი განიცდის სრულ ფეოდალიზაციას, გადაიზრდება საერო შინაარსის ინსტიტუტში“.³ ამ მხრივ, გვაქვს ძალიან საინტერესო ანალოგია თუ კონკრეტული მაგალითი ალბანეთის მხრივ, რომელსაც თენგიზ პაპუაშვილმა მიაქცია ყურადღება:⁴ ბუღა თურქმა, თურმე, „შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო“.⁵ აღნიშნული მოდელი საკმაოდ ლოგიკურად გვეჩვენება, და, უკეთესის არქონის პირობებში, სამუშაო ვერსიად ვიღებთ.

ოლონდ, ღია საკითხად რჩება, „საეკლესიო თანამდებობის ფეოდალიზაციისა“ და ამ თანამდებობის მქონე პირთა (დინასტიის?) მიერ „საერო ხელისუფლების მიტაცების“ შემთხვევაში, რამდენად შენარჩუნებული ჰქონდათ ამ (ყოფილი) საეკლესიო თანამდებობის მქონეთ საეკლესიო, რელიგიური ფუნქციები? ითავსებდნენ მათ, თუ დაუთმეს უკვე ექსკლუზიურად საეკლესიო ხელისუფლების მქონე თანამდებობას (თანამდებობის მქონეთ)? ხაზს ვუსვამთ, რომ საეკლესიო თანამდებობა მხოლოდ სულიერ ხელისუფლებას როდი ნიშნავს, არამედ, საეკლესიო თუ რელიგიური ორგანიზაციის სიძლიერე-სიმდიდრის პარალელურად, სრულიად კონკრეტულ ხელისუფლებას გულისხმობს მატერიალური ცხოვრების საკითხებშიც. აქედან გამომდინარე, შეიძლება უკეთესი იყოს საუბარი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტში არა საერო და სასულიერო, არამედ საერო და სასულიერო-საეკლესიო ხელისუფლების შერწყმაზე.

თენგიზ პაპუაშვილი, თითქოს, თვლიდა, რომ ქორეპისკოპოსებს სასულიერო ხელისუფლებაც შენარჩუნებული ჰქონდათ:⁶ „კახეთის ქორეპისკოპოსისთვის გარკვეული პერიოდის მანძილზე დამახასიათებელი იყო საეკლესიო და საერო მეთაურის ხელისუფლების გაერთიანება“.⁷ უფრო მეტიც, მისი აზრით, კახეთის მონარქის ძლიერება აიხსნებოდა არა

¹ საზოგადოდ, შეუდარებლად უფრო გვიანდელი მდგომარეობის რეტროგრადული პროცესირების ვალიდურობა შეზღუდულია.

² ბადრიძე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის, გვ. 97.

³ იქვე, 99.

⁴ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 283-284.

⁵ მატიანე ქართლისად, გვ. 257.

⁶ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 279-285.

⁷ იქვე, გვ. 279.

ეკონომიკური რესურსებითა თუ ბიუროკრატიული აპარატით, არამედ „ქორეპისკოპოსის უმაღლესი მდგომარეობით რელიგიურ-საკულტო იერარქიის თვალსაზრისითაც, სხვანაირად - სარწმუნოებრივი შინაარსით, რომელიც მიცემული ჰქონდა ქვეყნის უზენაესი მეთაურის ხელისუფლებას“.¹ ერთი სიტყვით, თენგიზ პაპუაშვილი პირდაპირ ამტკიცებს, რომ კახეთის მთავრის ხელისუფლებას „თეოკრატიული ხასიათი“ ჰქონდა.² პატივცემული მცნიერის პოზიცია სავსებით გასაგებია, მაგრამ, საყურადღებოა, რომ კონკრეტული არგუმენტი თავისი პოზიციის გასამყარებლად არ მოაქვს.

ამასთან დაკავშირებით, ორ გარემოებას აღვნიშნავთ, რომელიც ჩვენს მიერ ქორეპისკოპოსის ტიტულის შემცველი ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზიდან გამომდინარეობს, და, ვთიქრობთ, სიახლეს წარმოადგენს (რომელიც თენგიზ პაპუაშვილის კონცეფციას ამყარებს):

1. ქორეპისკოპოსის ტიტულს კახეთ-ჰერეთის მონარქები ატარებდნენ მას შემდეგაც, რაც უკვე მიღებული ჰქონდათ რანთა და კახთა მეფისა თუ მფლობელის ტიტული; ამას ადასტურებს თორლას (თოლას) წარწერა (იხ. ზემოთ). უფრო მეტიც, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ალავერდის ტაძარი შენდებოდა (და მისთვის კანკელი იჭრებოდა), კვირიკე III-ს ჯერ არ ეტარებინა რანთა და კახთა მეფის წოდებულება - შესაბამისად, საფიქრებელია, ის ერთდროულად იყო როგორც ქორეპისკოპოსი, ასევე რანთა და კახთა მეფეც; ანუ, სხვა სიტყვებით, ტიტული რანთა და კახთა მეფე კი არ ჩაენაცვლა ქორეპისკოპოსის ტიტულს, არამედ მას დაემატა; კახეთ-ჰერეთის მონარქებს ქორეპისკოპოსის ტიტული არც მივიწყებული ჰქონდათ და არც მიტოვებული;

2. მართალია, ერთადერთი წყაროს (თორლას წარწერის) მიხედვით, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, რომ ქორეპისკოპოსი ერთგვარად განყენებულ, ქვეშევრდომთა მფლობელობისგან (საერო ხელისუფლების კუთხით) უშუალო კავშირის არმქონე ტიტულად წარმოგვიდგება; გადავიკითხოთ წარწერის შესაბამისი ფრაგმენტი: ახსართან ქორეპისკოპოსი, რანთა და კახთა მფლობელი; აქ, თითქოს, დაყოფილია ცალსახად საერო ხელისუფლება - რანთა და კახთა მფლობელობა (რომელიც ჩვენ მეფობად გვესმის), და, კიდევ რაღაც სხვანაირი ხელისუფლება - ქორეპისკოპოსისა. ხომ არ ნიშნავს, რანთა და კახთა მფლობელისა / მეფისა და იმავდროულად, პარალელურად, ქორეპისკოპოსის ტიტულის ტარება იმას, რომ კახეთის / კახეთ-ჰერეთის ქორეპისკოპოსი ინარჩუნებდა გარკვეულ არასაერო, ანუ, სავარაუდოდ, სასულიერო ფუნქციებს?

ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ, მაშინ, როდესაც კახეთსა და კახეთ-ჰერეთში ქორეპისკოპოსი უზენაესი ხელისუფლის ტიტუ-

¹ იქვე, გვ. 284.

² იქვე.

ლი იყო, პარალელურად, საქართველოს დანარჩენ ნაწილში, ქართულ საეკლესიო სივრცეში (ე. ი., ფაქტიურად, ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში) კვლავინდებურად არსებობდა ქორეპისკოპოსისა თუ ხორეპისკოპოსის საეკლესიო ინსტიტუტი. საკითხი დეტალურად თენგიზ პაპუაშვილსაც აქვს შესწავლილი.¹

ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის-დების მიერ შემონახულ ცნობებზე, ვინაიდან ის თორლას (თოლას) წარწერის შესრულებისა და დასავლურ-ქართული სახელმწიფოს მიერ აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს, კახეთ-ჰერეთის ანექსიის პრაქტიკულად სინქრონული ძეგლია. ხორეპისკოპოსი იქ ორჯერ, მე-5 და მე-11 მუხლებშია მოხსენიებული; მოგვაქვს ტექსტის ფრაგმენტები:

1. „.... და ნუმცა მიიღებენ რათურთით ნურარას ნუ ოდეს..., ნუცა კა-თოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღვდელთა და ხორეპისკოპოსთა, ...“²

2. „კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდეს მღვდელი ანუ დიაკონი და შიშითა ღმრთისათა ემცნებოდედ მას უბინოდ დაცვად ყოველთავე საქრისტეანოთა წესთავ, რათა არარა მათგანი განსცეს ქრთამისათვს, არცა რა განყიდოს ვეცხლად, ვითარცა იუდა უფალი, რათა არა შიშთვილიცა მისი დაიმკუდროს“.³

ქორეპისკოპოსი მოხსენიებულია, ასევე, მეფე დავითის მემატიანეს-თანაც: „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს; და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროის, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროისნი საეპისკოპოსონი, [...] და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაუდგინეს, რომელი, ნაცვალად სჯულთა საღმრთოთა ჟყრობისა, უსჯულოებასა ანურთიდეს მათ ქუეშეთა“.⁴

როგორც ძეგლის-დების, ასევე, მატიანის ტექსტიდან აბსოლუტურად ნათელია, რომ ქორეპისკოპოსი / ხორეპისკოპოსი ბაგრატოვანთა სახელმწიფოში არცთუ ძალიან მაღალ საეკლესიო თანამდებობას წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში, კათალიკოსსა და ეპისკოპოსზე დაბალსა და დაქვემდებარებულს.⁵

ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ, კახეთ-ჰერეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ დავით IV აღმაშენებელმა შეივსო საკუთარი წოდებულება რათა და კახთა მეფობით, მაგრამ ქორეპისკოპოსის წოდება, როგორც, საფიქრებელია, შეუფერებელი, არ გადმოიღო.

¹ იქვე, გვ. 265-270, 277.

² გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 109.

³ იქვე, გვ. 125.

⁴ ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 310.

⁵ გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 125-128.

ეპიგრაფიკული ძეგლები ადასტურებს, რომ „მატიანე ქართლისაა“ არ ცრუობს, და კახეთ-ჰერეთის მონარქები ნამდვილად სარგებლობდნენ, თვითონ უწოდებდნენ თავის თავს ტიტულს რანთა და კახთა მეფე. რაკი ასეა, აქტუალური ხდება 2 საკითხი:

1. რამ განაპირობა (ჩანს, კვირიკე III დიდის მიერ) წოდებულების რანთა და კახთა მეფე მიღება? იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც დავინახეთ, კახეთ-ჰერეთის მონარქებს არ უთქვამო უარი ქორეპისკოპოსობაზედაც;

2. ჰერეთის ანექსიის შემდეგ, კახეთის მეფის ამ წოდებულებაში პირველი ადგილი რატომ დაიკავა კომპონენტმა რანთა, და არა კახთა - ხომ უფრო ლოგიკური იქნებოდა, გამხდარიყვნენ კახთა და რანთა მეფენი?

ვარაუდის სახით დავუშვებთ, რომ მეფის წოდება კვირიკე III-მ თვიციალურად მიიღო 1) ბაგრატოვანთა საკარისკაცო ეტიკეტისა და სოციალური იერარქიის ზეგავლენით, რომელთაც ის დასავლურ-ქართულ სახელმწიფოში (ქუთაისში?) საპატიო ტყვეობის პერიოდში გაეცნო; 2) ჰერეთის მეფეთა ტიტულის მითვისების ნიადაგზე.

კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულების კომპონენტი რანთა, ეჭვი არ გვეპარება, ჰერეთის ანექსიის შედეგი იყო - არან შაჰის, ანუ, ფაქტიურად, რანთა მეფის ტიტულს ხომ სწორედ ჰერეთის მონარქები ფლობდნენ.¹ სადისკუსიოა, ოღონდ, ჩვენი აზრით, რანთა მეფენად შეესაბამება ჭეშმარიტებას მოსაზრება, რომ „კახეთის მეფები“, რანთა მეფის² ტიტულის მიღებით რეალურად ხელს ადებდნენ რანის ქეყანას და მისი ფლობის პრეტენზიას აცხადებდნენ. ეს გარემოება კი ინვევდა ურთიერთბრძოლას კახეთსა და განჯის შედადიან ამირებს შორის³.

რაც შეეხება კომპონენტების რანთა და კახთა თანმიმდევრობას, აქ ჩვენ არ გვაქვს მყარი საფუძველი საბოლოო დასკვნები გამოვიტანოთ: ერთის მხრივ, თუ ვახუშტის თხზულებას დაეჯერება, კახეთ-ჰერეთის გამაერთიანებელი კვირიკე III ინდა „მეფედ კახთა“.³ უნდა გავიგოთ თუ არა ეს ისე, თითქოს, რანთა მეფე ის ამაზე გვიან გახდა? მაგრამ, „მატიანე ქართლისა“, დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების ტიტულატურა, და, რაც მთავარია, კალაურასა და თორლას წარწერები - ყველა ცალსახად მიუთითებს კომპონენტის რანთა პირველობაზე. უნდა დავასკვნათ თუ არა, რომ კვირიკე III-მ ჯერ ჰერეთის სამეფოში მოიკიდა ფეხი, და მხოლოდ ამის შემდეგ დაიბრუნა კახეთიც - ბაგრატ III-ის ანალოგით, რომელიც ჯერ აფხაზთა მეფე გახდა, შემდეგ კი - ქართველთა? უკეთეს განმარტებას ვერ ვაგნებთ. ის

¹ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 220; შდრ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 128-129.

² პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 220.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 561.

კი აღსანიშნავია, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჰერეთის ანექსიის შემდეგ კახეთ-ჰერეთის მონარქთა არაბულ ტიტულატურაშიც პირველ პლანზე ჰერეთთან დაკავშირებული ტერმინი გამოდის.

კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის ბიზანტიური კომპონენტი

კონსტანტინე VII პორფიროგენეტის თხზულებაში წანარიის (ე. ი. კახეთის) მმართველი არქონტის (არქონ) სტანდარტულ წოდებას ატარებს,¹ რაც X საუკუნის I ნახევრის მდგომარეობას უნდა ასახავდეს. XI საუკუნეში კახეთ-ჰერეთის მონარქებმა კონკრეტული ბიზანტიური წოდებებიც მოიპოვეს. კერძოდ, კახეთისა თუ კახეთ-ჰერეთის ერთ-ერთი მონარქი სარგებლობდა მაგისტროსის ბიზანტიური ტიტულით. ეს ტიტული ფიქსირდება ზემოთ უკვე ნახსენებ მინანქროვან ენკოლპიონზე, რომელზედაც, ასომთავრული წარნერის გარდა (იხ. ზემოთ), არის ბერძნულიც:²

† K(ύρι)ε βιοήθε τω σω διούλω Κυρίων μαγίστρων

† υφαλω, შეენი მონასა შენსა კვირიკე მაგისტροსასა.

კვირიკეს ჯვრად ცნობილი ეს არტეფაქტი და მისი წარწერები არაერთგზის განხილულა. ვემხრობით ვერსიას, რომ ჯვარზე დასახელებული მეფე კვირიკე და კვირიკე მაგისტროსი უნდა იყოს კვირიკე III და არა კვირიკე II.³ ვფიქრობთ, რომ ლეილა ხუსკივაძის, რომელიც კვირიკე II-ის ვერსიას უჭერს მხარს, ხელოვნებათმცოდნეობითი არგუმენტები⁴ არ გამორიცხავს ჯვრის დათარიღებას XI საუკუნის I ნახევრითაც. თინათინ ყაუხეჩიშვილის ორთოგრაფიული ხასიათის არგუმენტაცია კვირიკე II-ის სასარგებლოდ⁵ უარყოფილია გიორგი გაგოშიძის მიერ.⁶ თენგიზ პაპუაშვილი კვირიკე II-ის ვერსიას უჭერს მხარს:⁷ მან გამოთქვა მოსაზრება, რომ კახეთის მონარქებს მეფის წოდება XI საუკუნეზე უფრო ადრეც უნდა ჰქონოდათ, და, ამრიგად,

¹ გეორგიკა, გვ. 292.

² მოგვაქვს, მცირედი შესწორებით, თინათინ ყაუხეჩიშვილის მიხედვით. ყაუხეჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 148-150.

³ შდრ. თავაძე, მაგისტროსი საქართველოში, გვ. 151-155. ნატალი ბერუჩაშვილისა და იოსებ ბიჭიკაშვილის სტატია გიორგი გაგოშიძის მიერ საფუძვლიანად არის გაერიტიკებული (Беруцашвили, Бичикашвили, *Новая аттирибуция креста Квирике*, გვ. 172-186; გაგოშიძე, კიდევ ერთხელ კვირიკეს ჯვრის შესახებ, გვ. 100-114).

⁴ ხუსკივაძე, *Грузинские эмали*, გვ. 80-86.

⁵ ყაუხეჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 149.

⁶ გაგოშიძე, კიდევ ერთხელ კვირიკეს ჯვრის შესახებ, გვ. 100-101.

⁷ პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 202-203, პაპუაშვილი, კვირიკეს ჯვრის ქართულ-ბერძნული წარწერა, გვ. 72-77.

ჯვარზე მისი მითითება არ გვავალდებულებს, ჯვარი კვირიკე III-ს მივაწეროთ.¹ არგუმენტად კი თენგიზ პაპუაშვილს მოყვანილი აქვს კახეთის მონარქების, ფადლასა და კვირიკეს მეფედ მოხსენიება („კახთა მეფეთა ფალლესი და კურიკესი“) მიქაელ მემლვიმის მინაწერში მღვიმისადმი ფავნელის დაწერილზე.² ჩვენი აზრით, ეს არგუმენტი არ არის სარწმუნო - ამ მიწერილში კახეთის ქორეპის კოპოსების მეფედ მოხსენიება არაოფიციალური ტიტულირების კლასიკური მაგალითია და ნაკლებ სარწმუნოა, ვინაიდან, შეიძლება გადამწერის პირად ინიციატივას ნარმოადგენდეს. ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება ვალერი სილოგავას მითითება იმის თაობაზე, რომ პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XI, ან, იქნებ, სულაც უფრო XII საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს; მართალია, დაწვრილებითი პალეოგრაფიული ანალიზი (ნაშრომის ძირითად თემასთან შეუსაბამობიდან გამომდინარე) მოყვანილი არ არის,³ მაგრამ, ავტორის ავტორიტეტიც კი, რომელიც ამ მტკიცების უკან დგას, სერიოზულ არგუმენტს წარმოადგენს კვირიკე II-ის (939?-976) ვერსიის წინააღმდეგ. ლერი თავაძე კვირიკე III-ს ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე კვირიკე IV-ს, იმ მოსაზრებით, რომ აღსართან I (1058?-1084?) უკვე კურაპალატის ტიტულით სარგებლობდა, და, ნაკლებ მოსალოდნელია, მისი ერთ-ერთი მემკვიდრისთვის უფრო დაბალი, მაგისტროსის ტიტული მიეცათ.⁴ ჩვენც კვირიკე III გვგონია ჯვარზე დასახელებულ ისტორიულ პირად, ოღონდ სხვა მოსაზრებით: ვფიქრობთ, რომ აღსართან I-ის ძეს, კვირიკე IV-ს სავსებით შეეძლო ბიზანტიისგან მამაზე უფრო დაბალი ტიტული მიეღო (თავის დროზე, ბიზანტიამ გურგენს ხომ უფრო დაბალი წოდება მიანიჭა, ვიდრე მის ძეს, ბაგრატ III-ს⁵), და, ამის საფუძველზე, კვირიკე IV-ის გამორიცხვა არ ღირს; კვირიკე III-ის კანდიდატურას კი იმიტომ ვუჭროთ მხარს, რომ პალეოგრაფიული თუ ხელოვნებათმცოდნეობითი არგუმენტები ერთმანეთთან ნაკლებ წინააღმდეგობაშია სწორედ XI საუკუნის I ნახევრისთვის, როდესაც კვირიკე III და არა IV მოღვაწეობდა.

ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით კახეთ-ჰერეთის ერთზე მეტი მონარქი სარგებლობდა. რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში გადაწერილი ოთხთავის ანდერძის თანახმად, კურაპალატის საკმაოდ მაღალ ტიტულს ატარებს რანთა და კახთა მეფე ხსართანანი, ანუ, დამყარებული ონომასტიკური ტრადიციის მიხედვით, აღსართან I, გაგიკის ძე.⁶ შეგვიძლია

¹ იქვე, გვ. 76-77.

² ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 16-19.

³ სილოგავა, ბალვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები, გვ. 253-254.

⁴ თავაძე, მაგისტროსი საქართველოში, გვ. 153-154. ავტორი კვირიკე III-ისთვის მაგისტროსის ტიტულის მინიჭებას ქართულ-ბიზანტიური ომის დასრულების შემდგომ ბიზანტიურ დიპლომატიურ ინიციატივას უკავშირებს (იქვე, გვ. 154-155).

⁵ სუმბატ დავითის ძე, ცხორებად და უწყებად ბაგრატონიანთა, გვ. 369.

⁶ კლდიაშვილი, გარეჯა - კონსტანტინოპოლი, გვ. 145-146.

ასევე ვარაუდის გამოთქმა, ხომ არ ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულს კახე-თისა თუ, უფრო, კახეთ-ჰერეთის სხვა მონარქებიც? ყოველ შემთხვევაში, 1071 წლის მანასკერტის ბრძოლის კატასტროფამდე, როდესაც ბიზანტიის დაიწყო აღმოსავლეთ ანატოლიის, არათუ სამხრეთ-ცენტრალური კავკასიის კარგვა.

რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს კახეთ-ჰერეთის მონარქების მიერ ბიზანტიური (საკარისკაცო) ტიტულების ტაქტს? ვფიქრობთ, ზე-მოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გადაჭრით ვამტკი-ცოთ, რომ, ბიზანტიის იმპერიის, მისი პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული გავლენის სფეროში შედიოდნენ სხვადასხვა სომეხი დინასტები და, ასევე, ქართველი ბაგრატიდები - ჯერ, სამხრეთ-დასავლური „ქართველთა სამეფოს“, შემდეგ კი, ბაგრატ III-დან მოყოლებული, უფრო დიდი და ძლიერი „აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“¹ მმართველები; არა მარტო ქართლის ტერიტორიაზე განლაგებული სამეფოს მმართველი სომეხი კორიკიანები (კორიკე I, თუ, უფრო, კორიკე II ნამდვილად კურაპალატის ტიტულს ატარებდა, რომელსაც თავის მონეტაზედაც უთითებს), არამედ, ასევე, კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მმართველი არევმანელები და შემდეგ არევმანელ-კორიკიანები.

რასაკვირველია, კახეთ-ჰერეთის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა ყოველთვის როდი იყო მშვიდობიანი და კეთილმოყვრული. კარგად ვიცით, რომ კვირიკე III-მ გიორგი I-ს ბიზანტიასთან ბრძოლის პერი-ოდში სამხედრო დახმარებაც კი აღმოუჩინა.² თუმცა, ეს ერთეული ფაქტია. როგორც ჩანს, კახეთ-ჰერეთის სამეფო და მისი მმართველი დინასტია ბიზანტიასთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა (რაც, შეიძლება, გეოგრაფიული დაშორებულობითაც და, შესაბამისად, ბიზანტიის აგრესიისგან შედარებითი დაცულობით იყო განპირობებული).

კახეთ-ჰერეთის მმართველი წრეების ბიზანტიის იმპერიის ელიტასა და სტრუქტურებში ინკორპორირებას შესანიშნავად გვისურათებს 1070 წლის ოთხთავის ანდერძი, რომელიც უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ. გაგიკის ძე და ალსართან I-ის (ნომინალური თანამეფე) ძმა აბაზ(ი), 27 წლის, შედარებით ახალგაზრდა მამაკაცი ბიზანტიის იმპერიის მაღალი რანგის მოხელეა, „მთავრობდა არკადიპოლის“.³ დარეჯან კლდიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ამ გარემოებაზე, როგორც ბიზანტიის პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებაზე: ქართველი დიდგვაროვნების „კონსტანტინოპოლისა და იმპერიის სხვადასხვა ადგილებში დიდ სამოხელეო თანამდებობებზე

¹ რომლის ბირთვიც დასავლეთ საქართველო იყო, მაგრამ მოიცავდა ასევე ქართლისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილებსაც.

² სუმბატ დავითის ძე, ცხორებაზ და უწყებაზ ბაგრატონიანთა, გვ. 371; მატიანე ქართლისა, გვ. 275.

³ კლდიაშვილი, გარეჯა - კონსტანტინოპოლი, გვ. 145-146.

დანიშვნა ის ხერხები იყო, რასაც მოხერხებულად იყენებდა ბიზანტია როგორც ცალკეული პირების მოსაზიდად, ისე გარკვეული სიტუაციების თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად¹.

ვფიქრობთ, აღნიშნულ და მსგავს (ბიზანტიური ტიტულის ტარებისა თუ ბიზანტიის იმპერიაში მსახურების) ფაქტებს კიდევ უფრო ფართო ინტერეტაცია უნდა მიეცეს და სპეციფიკური მოვლენის / პროცესის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული. საკარისკაცო ტიტულებისა და თანამდებობების დარიგებით ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლება ერთდროულად რამდენიმე მიზანს აღწევდა. პირველ რიგში, ნარმოებდა მეზობელი (ყოველ შემთხვევაში, კავკასიური) ქრისტიანული სახელმწიფოების უმაღლესი ეშელონის (მმართველი მეფისა და მემკვიდრის, ბაგრატოვანთა შემთხვევაში; მმართველი მეფისა და მეფის ძმის, არევმანელ-კორიკიანთა შემთხვევაში) სახელისუფლებო ელიტის ბანალური მოსყიდვა (როგორც არაპირდაპირი, ტიტულის პრესტიჟულობიდან გამომდინარე, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით, ვინაიდან, ტიტული გარკვეულ სარგოს მიღებასაც გულისხმობდა; მაღალი რანგის მოხელედ დასაქმებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ).²

საინტერესოა, რომ დოტაციებს ბიზანტიის ხელისუფლებისგან ქართული ეკლესიაც იღებდა,³ რაც მას ასევე, ერთგვარად, ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ობიექტად აქცევდა. ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მინიჭებით და, ქართველთა (თუ სომეხთა) მხრიდან, ტარებით, ნარმოებდა ბიზანტიისადმი ერთგულებისა და ბიზანტიური სამყაროსადმი მიკუთვნების (რომელიც, საფიქრებელია, ესოდენ მომხიბვლელი იყო) დეკლარირება, რაც ბიზანტიის მხრიდან ეფექტურ ხერხად უნდა ჩაითვალოს - საგარეო-პოლიტიკური, საზოგადოებრივი ურთიერთოებების კუთხით. ფაქტიურად, ქართველ ხელისუფალთა ბიზანტიის იმპერიის სოციალურ, დაზოგჯერ, როგორც აბაზის შემთხვევაში, ასევე სამოხელეო იერარქიაში ჩართვა მათ ბიზანტიის გავლენის აგენტებად აქცევდა.

ბიზანტიურ სივრცეში გაერთიანება ასევე, თვითშეცნობის დონეზე შლიდა საზღვარს, სხვათა შორის, პოლიტიკურ საზღვარსაც, ეროვნულსა და იმპერიულს, ქართულსა (თუ გნებავთ, სომხურსა) და ბიზანტიურს შორის - საბოლოო ჯამში უკარგავდა ქართველებსა და სომხებს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის სურვილს, უბიძგებდა სუვერენიტეტის, ფაქტიურად, ნებაყოფლობით დათმობისკენ, ბიზანტიის იმპერიის

¹ იქვე, გვ. 153-154.

² კონსტანტინე პორფიროგენეტთან შემონახულია ცნობა, თუ როგორ ითხოვენ წყალობას ბიზანტიის იმპერატორისგან კავკასიის სომეხი და ქართველი მონარქები (ვერგიკა, გვ. 240-244).

³ იხ. დანერილი მელქისედეკ კათალიკოსისა (ენუქიძე, სილოგაგა, შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 20-31).

სასარგებლობდ. ვფიქრობთ, სწორედ ამ გზით მსვლელობამ, ბიზანტიის იმპერიისა და კავკასიის ქრისტიანული სახელმწიფოების ურთიერთდიფუზიამ (მაჰმადიანთაგან განახლებულ საფრთხესთან ერთად) განაპირობა უპირატესნილად სომხური,¹ მაგრამ, ნანილობრივ, ასევე ქართული (დავით ტაოელის სამფლობელოები, იმიერტაო) სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა და მათი ბიზანტიის იმპერიის მიერ კანონიერი ანექსია.

ალექსანდრე აბდალაძეს მართებულად აქვს შენიშნული, რომ ქართული სახელისუფლებო ელიტა, საერო თუ საეკლესიო, სომხურთან შედარებით, უფრო მტკიცედ იდგა ეროვნულ პოზიციებზე და სამშობლოს ბერძნებს არ უთმობდა² (დავით ტაოელის ანდერძს თუ არ ჩავთვლით). თუმცა, ვიცნობთ გამონაკლისებსაც: ბაგრატ IV-ის ზეობის დასახუისში ბიზანტიაში წავიდნენ ტაოელი აზნაურები, მათ შორის ვაჩე კარიჭის ძე, საეკლესიო იერარქიც, ბანელი ეპისკოპოსი იოვანე; წავიდნენ და თავისი ციხეები ბიზანტიილებს გადასცეს ჩანჩახ ფალელმა და არჯევან ჰოლოლას ძემ.³

ვფიქრობთ, რომ არა, ერთი მხრივ, თურქ-სელჩუკების გამოჩენა და მანასკერტთან ბიზანტიილების სასატყიკი მარცხი 1071 წელს და, მეორე მხრივ, დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ეგიდითა და ძალებით ქართული მინების გაერთიანების პროცესის დაჩქარება (ბაგრატ III-ის პიროვნული ფაქტორი?), XI საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფოებს (ტაშირის კორიკიანთა სამეფოს ჩათვლით), ბიზანტიის იმპერიაში ინკორპორების რეალური საფრთხე ემუქრებოდათ.

ამ საშიშროების წინაშე, თეორიულად მაინც, ვვარაუდობთ, კახეთ-ჰერეთიც იდგა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქართული სამეფოს ტერიტორია ბიზანტიის იმპერიის სამხედრო მანქანის მოქმედების რადიუსს მიღმა იყო განლაგებული. ამას მოწმობს „ლიხტურის“ ლაშქრობა კახეთ-ჰერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე განძის წინააღმდეგ.⁴ ბიზანტიის იმპერიამ ისიც დაამტკიცა, რომ შეეძლო ადგილობრივ სამხედრო თვალსაზრისით ძვირფასი მოკავშირეების მონახვაც (ლიპარიტ ბალვაშთან სამხედრო კავშირს ვგულისხმობთ).

კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის არაბული კომპონენტი

დავიწყებთ კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის არაბული ვერსიის არაოფიციალური კომპონენტის განხილვით. არაბულ წყაროებში კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის შესახებ

¹ იზბაშიან, *Армянские государства эпохи Багратидов и Византия*, გვ. 117-174.

² აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა, გვ. 266-267.

³ მატიანე ქართლისა, გვ. 278-279.

⁴ თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 194-195.

ცნობები გაანალიზებული აქვთ ვლადიმირ მინორსკის, გოჩა ჯაფარიძეს და დავით მუსხელიშვილს.¹ არაბულ ნარატიულ წყაროებში, როგორც ცნობილია, კახეთს განასახიერებს წანარების ტომი, რომლის არაბული შესატყვისიცაა ას-სანარია.²

გოჩა ჯაფარიძის მიხედვით, X საუკუნის შუა ხანის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი ალ-მას'უდის თანახმად, „ას-სანარია არის სამეფო (მამლაქა)“³ თავად წანართა მმართველ მონარქს კი სანარიას მალიქსა თუ მფლობელს (საჰიბს) უწოდებენ.⁴ ალნიშნული წოდებები აშკარად აღნერილობითია, და, შეიძლება, არც არაფერი ჰქონდეთ საერთო კახეთის მონარქის / წანართა მმართველის რეალურ ტიტულთან. თუმცა, ერთ შემთხვევაში მაინც, დაფიქსირებულია იმდენად სპეციფიური ტიტული, რომელიც ნამდვილად წანართა / კახეთის მმართველის საკუთარი წოდების ანარეკლი უნდა იყოს: იმავე ალ-მას'უდისთან „ას-სანარიას/წანართა მალიქს ეწოდება ქურუკუსი resp. ქორეპისკოპოსი“.⁵

XI საუკუნეში არაბ ისტორიკოსებთან წანართა ხსენება - იგულისხმება ახალი, ორიგინალური ცნობები - აღარ გვხვდება.⁶ სამაგიეროდ, კახეთზე გადადის ჰერეთის აღნიშვნა, შაქი⁷ - ვლადიმირ მინორსკის შემჩნეული ჰქონდა, რომ „თარის ალ-ბაბში“ კახეთის მმართველი ყველგან სისტემატურად აღინიშნება ტერმინით „შაქის მეფე“.⁸ ამ წარატიულ წყაროში წამდვილად გვხვდება რამდენიმე ადგილი, სადაც კახეთ-ჰერეთის მონარქს, კერძოდ, აღსართან II-ს, გაგიკის ძეს, ეწოდება შაქის მმართველი (საჰიბ):

الصاحب شكي / صاحب شكي¹⁰

¹ Минорский, *История Ширвана и Дербенда*, гл. 117; ჯაფარიძე, წანართა შესახებ, гл. 83-89; მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, гл. 105-108; მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, гл. 128-129.

² ჯაფარიძე, წანართა შესახებ, гл. 83-89.

³ იქვე, гл. 84.

⁴ იქვე, гл. 85-86.

⁵ იქვე, гл. 86.

⁶ იქვე, гл. 88.

⁷ ცნობილია, რომ არაბი ისტორიკოსები ჰერეთის სამეფოს შაქის სახელით იცნობენ (ქალაქი შაქი ჰერეთის სამეფოს დედაქალაქიც იყო). მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, гл. 105-108; მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, гл. 128-129.

⁸ Минорский, *История Ширвана и Дербенда*, гл. 117; შდრ. იქვე, гл. 94.

⁹ Minorsky, *Studies in Caucasian History*, гл. 18, 12*, 18, 14*; Минорский, *История Ширвана и Дербенда*, гл. 63, 17.

¹⁰ იქვე, гл. 60, 10.

შაქის მეფეს უნიდებს აღსართან II-ს კიდევ ერთი აღმოსავლური წყარო.¹ კახეთის მეფის შაქის (რესპ. ჰერეთის) მმართველად მოხსენიებას ეხმიანება ერთი სომხური წყაროც (იხ. ქვემოთ).

დავით მუსხელიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ამგვარი იდენტიფიციაცია არც თანადროული საქართველოს რეალობისთვის იყო უცხო: სუმბატ დავითის ძესთან ვეითხულობთ „კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი“;² ხოლო „მატიანე ქართლისას“ მიხედვით კი - „რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“;³ ეჭვს არ იჩვევს, რომ შაქნი-ჰერებს, ჰერეთის ლაშქარს აღნიშნავს.⁴ კახეთის მონარქების მიერ ჰერეთის სამეფოს ანექსის შემდეგ წარმოქმნილი კახეთ-ჰერეთის მონარქებს, როგორც ვხედავთ, ჰერეთის მეფის აღმნიშვნელი ტიტულით, შაქის მეფობით მოხსენიებენ.

ბოლოდროინდელი ნუმიზმატიკური აღმოჩენების გათვალისწინებით, უკვე შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქები არაბული / არაბულენოვანი ტიტულატურით თავადაც სარგებლობდნენ, ანუ, გააჩნდათ ოჯიციალური არაბული ტიტულატურა. ვგულისხმობთ კახეთისა (?) და კახეთ-ჰერეთის ზედიზედ რამდენიმე მონარქის მიერ მოჭრილ საფასეს (რამდენიმე სამონეტო ტიპად), რომელიც უპირატესად ან ექსკლუზიურად, არაბულენოვანია, და ემიტენტის მდიდარ არაბულ ტიტულატურას იუწყება. კახეთ-ჰერეთის სამონეტო ისტორიის აღმოჩენა იმდენად მნიშვნელოვანი ფენომენია და იმდენად ბევრს ჰმატებს საქართველოს ისტორიას, რომ, უთუოდ, საგანგებო კვლევას იმსახურებს.⁵ ამ ეტაპზე კი სამონეტო მასალას მხოლოდ იმდენად მოვიშველიებთ, რამდენადაც ის მონარქის არაბულ წოდებულებას იუწყება.⁶

სამონეტო მასალასა და მისი ემიტენტის ტიტულატურას ქრონოლოგიური პრინციპით განვიხილავთ; ეს არაბული წოდებულების ევოლუციის ანალიზსაც გაგვიადვილებს. დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ, ერთი უნიკალური მონეტის მიხედვით, გამოთქმული გვაქვს ჰიპოთეზა, რომ საკუთარი მონეტა უკვე დავითმა (976-1009), კვირიკე III დიდის მამამ და კვირიკე II-ის ძემ.⁷ მონეტაზე მისი სახელი მითითებულია, როგორც დაუდკრ/[კი] ([قريادا]), ანუ, სიტყვა ძე ან გამოტოვებულია შეცდომით, ან, მამის

¹ Qibla, *Akhbār al-Dawlat al-Saljūqiyya*, გვ. 112.

² სუმბატ დავითის ძე, ცხორებამ და უწყებამ ბაგრატონიანთა, გვ. 371.

³ იქვე, გვ. 275.

⁴ მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 107.

⁵ რომელზედაც ვმუშაობთ კიდევაც. კერძოდ, სხვა პროექტებთან ერთად, გამოსაცემად თითქმის მზადაა ჩვენი მონოგრაფია მიძღვნილი კვირიკე III დიდის სამონეტო ემისიებისადმი. მაგავა, *Монетные эмиссии Квирика III Великого*.

⁶ სამონეტო ტიპების დიდი ნაწილი ჩვენს მიერ არის აღმოჩენილი / გაანალიზებული.

⁷ Paghava, *Additional Data on the Numismatic History of K'akheti and Hereti*.

სახელი ნისპის¹ ფორმითაა გადმოცემული; ტიტული კი საკმაოდ მაღალი რანგისაა - მალიქი (მეფე) (...**ملك**); სამწუხაროდ, ცუდი შენახულობის გამო არ იკითხება, თუ როგორი მეფეა დავითი.

დავითის ძე კვირიკე III უკვე დანამდვილებით ჭრიდა საკუთარ მონეტას, თანაც სამ განსხვავებულ სამონეტო ტიპად.² ყველაზე ადრეულ ტიპზე კვირიკე უბრალოდ მალიქის / მეფის ტიტულს (**الملك**) ატარებს, სახელი ორი კომპონენტისგან შედგება, მითითებული ისმიცა³ და ნასაბიც⁴ (داود), რაც მხოლოდ ისმის მითითებაზე უფრო პრესტიულად უნდა ჩავთვალოთ. მომდევნო სამონეტო ტიპზე კვირიკე III, უკვე მითითებულის გარდა, სარგებლობს ასევე სახელის დამატებითი კომპონენტით, მეტაფორული ქუნიათი⁵ (რაც პრესტიული იყო), კერძოდ, ის არის ღირსების მამა (**أبو الفضل**); გარდა ამისა, მონეტაზე მითითებულია ერთგვარი დევიზი, რომელიც, მართალია, ტიტული, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ არის, მაგრამ, მაინც, წოდებასავით ემიტენტის სტატუსის დეკლარაციას წარმოადგენს; როგორც დავინახავთ მომდევნო სამონეტო ტიპის განხილვისას, ეს დევიზი ნამდვილად ტრანსფორმირდა სრულფასოვან ტიტულში, რაც მათ სიახლოვეზე მიუთითებს; კვირიკე III-ის მეორე სამონეტო ტიპზე შუბლის მხარეს, რელიგიური ფორმულის თავზე მითითებულია დევიზი სამართლიანობა (عدل).⁶ მომდევნო სამონეტო ტიპზე (წმ. გიორგის გამოსახულებით) კვირიკე III-ს სახელი იგივე ფორმითაა მოცემული, ქუნიას, ისმისა და ნასაბის კომბინაციის სახით, ტიტული კი უფრო მაღალ საფეხურზეა ასული - დევიზი სამართლიანობა მითითებული აღარაა, სამაგიეროდ წოდება განვრცობილია, კვირიკე უკვე მეფე სამართლიანი (**الملك العدل**) გახდა.⁷

კვირიკე III-ის მემკვიდრე გაგიკი თავის ადრეულ, მეფედ კურთხევის სცენისა ამსახველ სამონეტო ტიპზე სარგებლობს პრაქტიკულად იგივე წოდებულებით, რითაც ბიძა და ნინამორბედი, არის მეფე სამართლიანი (**العاد الملك** და, ღირსების მამა, ოღონდ, ბუნებრივია, შეცვლილია ისმისა და ნასაბის შინაარსი - გაგიკი არის ჯავაიკი ძე დაუდისა) (**جاجيق بن داود**); ერთადერთი სხვაობა მდგომარეობს ბიძის სახელის - კვირიკე (**قرقي**) - ნისპის სახით დამატებაში

¹ არაბული სახელის წარმომავლობასთან დაკავშირებული ფორმა.

² Пагава, Монетные эмиссии Квирика III Великого.

³ არაბული სახელის ფორმა, რომელიც პირად სახელს წარმოადგენს.

⁴ არაბული სახელის ფორმა, რომელიც მამის სახელს წარმოადგენს, პატრონიმი.

⁵ არაბული სახელის ფორმა, რომელიც შვილის სახელის მითითებას წარმოადგენს, ტეკნონიმი; ძალიან ხშირად ტეკნონიმი პირობით-სიმბოლურია, და უფრო წოდების, ლაკაბის ფუნქციას ასრულებს.

⁶ Пагава, Монетные эмиссии Квирика III Великого.

⁷ იქვე.

(გამეფებული გაგიკი ამგვარად ხაზს უსვამს თავის მემკვიდრეობით უფლებას კახეთ-ჰერეთის ტახტზე); ზუსტად იგივე წოდებულება აქვს გაგიკს მომდევნო სამონეტო ტიპზედაც, ცხოველის გამოსახულებით.¹

გაგიკის ძისა და მემკვიდრის აღსართან I-ის სამონეტო ტიპზე ტიტულატურა, რამდენადაც ცუდად შენახული ცალებით შეიძლება ვიმსჯელოთ, მსგავსია: აღსართან I არის მეფე სამართლიანი; შეცვლილია ისმისა და ნასაბის შინაარსი - აღსართანი არის ხსართანან ძე ჯავაჟისა [بن جاچق] [ن خسروتانا]; საყურადღებოა, რომ ვეღარ ვხედავთ სახელის ყველაზე პრესტიულ ელემენტს - ქუნიას, რაც შეიძლება საგარეო-პოლიტიკური გართულებების შედეგი იყოს (მონეტაზე ხომ უცხო სიუზერენის, დიდი სელჩუკი სულთნის სახელიც არის მითითებული).²

კიდევ ერთი სამონეტო ტიპი, წოდებისა (მალიქი / მეფე სამართლიანი), ემიტენტის სახელისა (ხსართან-[؟ن] ხსრთან) და პოვნის ადგილის (აღმოსავლეთი საქართველო) მიხედვით მივაკუთვნეთ აღსართან I-ს (1058?-1084?) ან აღსართან II-ს (1102-1104). მონეტა უნიკალურია, და ნატეხის სახით არის შემორჩენილი, ასე რომ, შეუძლებელია დადგენა, ქუნია თუ იყო მითითებული; ნასაბი, თითქოს არა, რასაც გვაფიქრებს ტიტულის განაწილება ორ სტრიქონში.

როგორც დავინახეთ, უტყუარი ნუმიზმატიკური პირველწყაროები აჩვენებს, რომ (უკვე კახეთის?) კახეთ-ჰერეთის მონარქებს დასაკუთრებული ჰქონდათ მეფის (მალიქის) საკმაოდ მაღალი წოდება, რომელიც ადრევე განივრცო და გარდაიქმნა სამართლიან მეფედ. საყურადღებოა, რომ კახეთ-ჰერეთის მონარქის ოფიციალური არაბული ტიტულატურა არ მოიცავს ეთნონიმებს (რანთა - შაქთა თუ შაქის, კახთა - ნანართა), მაგრამ ხაზს უსვამს ისეთ ლირებას, როგორიცაა სამართლიანობა; ერთ-ერთ სამონეტო ტიპზე დევიზიც კია - სამართლიანობა.

საყურადღებოა სამეფო პროტოკოლის მზარდი ამბიციურობა, რაც შესანიშნავად სჩანს კვირიკე III-ის სამონეტო ტიპებში, როდესაც ის ნასაბის გარდა იწყებს თავის მონეტებზე ასევე მეტაფორული ქუნის (ღირსების მამა) მითითებასაც, რაც, პატივის ნიშანი იყო, და, ამგვარად, წოდებას უტოლდება. გაგიკის მონეტებზე წოდებულება იგივენაირად პომპეზურია, მაგრამ, გაგიკის მემკვიდრის / მემკვიდრეების მონეტებზე ის თითქოს, დაკნინებულია, რასაც გაუარესებული საგარეო-პოლიტიკურ-სამხედრო კონიუნქტურით ვხსნით.

საინტერესოა, რომ გაგიკის მონეტაზე ვხვდებით ნისბას ქურიკი, რაც გაგიკის მიერ ტახტის მიღების გარემოებებით უნდა იყოს განპირობებული.

¹ Alexanyan, Paghava, *The Heirs of Kvirike III the Great*, გვ. 327-330.

² იქვე, გვ. 330-335.

მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ კახეთ-ჰერეთის მეფეები საკუთარ მონეტებზე თავის ტიტულატურას არაბულად უთითებენ; ზედნერილები, საზოგადოდ, პრაქტიკულად ექსკლუზიურად არაბულებოვანია (და არა ქართულ-, ან ბერძნულენოვანი, როგორც დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შემთხვევაში). მიზეზი, ვფიქრობთ, რამდენიმეა:

1. ეკონომიკური მოსაზრებები; კახეთ-ჰერეთის სამეფოს (საფიქრებელია, უფრო ჰერეთის ნაწილის) მეტი ინტეგრაცია რეგიონის საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში, სადაც კომუნიკაციის ენას ჯერ კიდევ არაბული ნარმოადგენდა;

2. მეზობელი მაპმადიანური სახელმწიფოების, პირველ რიგში, განჯის შადადიანთა, სამონეტო საქმის ზეგავლენა;¹

3. საზოგადოდ, აღმოსავლურ, მაპმადიანურ, არაბულენოვან სამყაროსთან დასავლურ-ქართულ სახელმწიფოზე შეუდარებლად უფრო მჭიდრო კონტაქტი (არა მარტო ეკონომიკური); შესაბამისად, ამ სამყაროში თავისი თავის პოზიციონირების აუცილებლობა - ამ სამყაროსთვის გასაგებ ენაზე.

კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის სომხური კომპონენტი

კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქებისგან შემორჩენილ, ან მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არცერთ ისტორიულ ძეგლში სომხური ენა და გრაფიკა არ გამოიყენება; შესაბამისად, საკუთარი, ოფიციალური სომხურენოვანი ტიტულატურა კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქებს არ გააჩნდათ; მას შემდეგაც კი, რაც კახეთ-ჰერეთის ტახტზე ავიდა გაგიკი, კვირიკე III-ის დისნული, მამის ხაზით კი კორიკიანი (ბაგრატუნიანი) დავით I უმინანყლოს, ტაშირის მეფის ძე. აქედან გამომდინარე, კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის სომხური კომპონენტი ცალსახად არა-ოფიციალური ხასიათისაა, და დაიყვანება სომხურ ნარატიულ წყაროებში მითოთებულ ტიტულამდე, აღნიშვნამდე.

სომხურ ნარატიულ წყაროებში, ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანის ჩათვლით კი კახეთის მონარქის აღნიშვნა არის ქორეპისკოპოსი (ყორეპისკოპუს) ან (იოანე დრასხანაკერტელთან) დიდი ქორეპისკოპოსი.² კახეთისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს მონარქთა არაოფიციალური სომხურენოვანი ტიტულატურა, რომელიც სომხურმა ნარატიულმა წყაროებმა შემოგვინახა, მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადასტურებს, თანადროულ ქართულ ნარატიულ პირველწყაროებთან შეთანხმებულად, რომ კახეთის მონარქთა ტიტული იყო ქორეპისკოპოსი.

¹ Пагава, Монетные эмиссии Квирика III Великого.

² პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 256-257.

გვხვდება ალტერნატიული წოდებით ხსენების ერთადერთი შემთხვევა, ისიც შედარებით გვიანდელ, XIII საუკუნის ავტორთან, ვარდან არეველცთან: „მისმა უმცროსძა ძმამ ფალლონმა მოკლა ის ხალირობის დროს და ხელთ იგდო ძალაუფლება. [...] ამგვარად გაძლიერდა და [...] თავს დაესხა ძოროგეტის მეფე გაგიკს, ალბანთა მეფე კვირიკეს და ქართველთა მეფე ბაგრატს, და შეავინროვა ისინი“.¹ ვეთანახმებით კომენტატორს, რომ იგულისხმება ფადლ I შადადიანი (986-1031),² მაგრამ ვინ არიან მის მიერ შევიწროებული ქრისტიანი მეფეები?

ეკა კვაჭანტირაძე არ გამორიცხავს, რომ „ქართველთა მეფე ბაგრატი“ ბაგრატ III-ეა, ხოლო „ძოროგეტის მეფე გაგიკი“ კი - გაგიკ I ანი-შირაკის მეფე (990-1017);³ „ალბანთა მეფე კვირიკეზე“ კი არაფერს წერს.⁴ ვლადიმირ მინორსკიც ბაგრატში ბაგრატ III-ს ხელავდა, რაც შეეხება ალბანთა მეფე კვირიკეს, მას გურგენ-კორიკე I-ად მიიჩნევდა; ხოლო ძოროგეტის მეფე გაგიკის იდენტიფიკაციისგან თავი შეიკავა, თუმცა კი გამოთქვა მოსაზრება, რომ გაგიკ I ანისის მეფე ვერ იქნებოდა.⁵

მაშასადამე, თითქოს, იკვეთება შემდეგნაირი ინტერპრეტაცია: „ქართველთა მეფე ბაგრატი“ = ბაგრატ III;⁶ „ძორაგეტის მეფე გაგიკი“ = გაგიკ I ანი-შირაკის მეფე;⁷ „ალბანთა მეფე კვირიკე“ = კორიკე I ტაშირ-ძორაგეტის მეფე.⁸ ამგვარ ინტერპრეტაციას ვერ დავეთანხმებით იმ მარტივი მიზეზით, რომ ხსენებული ქრისტიანი მონარქები ასინქრონულად ზეობდნენ: ფადლ I შადადიანის ზეობის წლებია 985-1031; ბაგრატ III რეალურ ხელისუფლებას იძენს 980-990-იან წლებში, მისი აქტივიზაცია აღმოსავლეთში (კახეთის და ჰერეთის შემოერთება) კი ჩვეულებრივ 1008-1010 წლებით თარიღდება;⁹ იქამდე მისი და შადადიანთა ინტერესები ერთმანეთს, საფიქრებელია, არ გადაეკვეთებოდა; ბაგრატ III-ის თანამედროვე გაგიკი ანისის მეფეა 990-1017 წლებში; გურგენ-კორიკე I კი ტაშირის მეფეა 989 წლამდე (როდესაც ბერად

¹ ვარდანი, მსოფლიო ისტორია, გვ. 123-124.

² იქვე, გვ. 217.

³ გარდაცვალების თარიღს ვუთითებთ კარენ იუზბაშიანის მიხედვით (Юзбашян, *Армянские государства эпохи Багратидов и Византия*, გვ. 156-157, შენ. 68).

⁴ ვარდანი, მსოფლიო ისტორია, გვ. 217. დამორმებულია “მატიანე ქართლისა”, ცნობა ბაგრატ III-ისა და გაგიკის ერთობლივი ლაშქრობის შესახებ (მატიანე ქართლისა, გვ. 272).

⁵ Minorsky, *Studies in Caucasian History*, გვ. 41-42.

⁶ როგორც ეკა კვაჭანტირაძის, ასევე ვლადიმირ მინორსკის მიხედვით.

⁷ ეკა კვაჭანტირაძის მიხედვით.

⁸ ვლადიმირ მინორსკის მიხედვით.

⁹ Պագաვა, *Монетные эмиссии Квирикэ III Великого*.

ალიკვეცა, და ტახტზე მისი ძე, დავით უმინაწყლო ავიდა).¹ ვარდანის ცნობაში, ფადლ I-ის აგრესია მეტ-ნაკლებად ერთმომენტიანია; მაგრამ კორიკე I-სა და გაგიკ I-ის ზეობები ერთმანეთს არ ემთხვევა; ისევე, როგორც საფიქრებელია, ერთმანეთს დროში ვერ დაემთხვეოდა კორიკე I-ის ზეობა და ბაგრატ III-ისა და შადადიანი ამირას ინტერესების დაპირისპირება. რასაკვირველია, შეიძლება დავუშვათ, რომ ვარდანს შეეშალა, და „ალბანთა მეფე კვირიკეში“ კორიკე I კი არა, მისი შვილი, დავით უმინაწყლო (989 წლისთვის უკვე ტახტზე) უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ, ეს უკვე არსებითი კონიექტურაა. საეჭვოა ასევე „ძოროგეტის მეფე გაგიკში“ გაგიკ I ანი-შირაკის მეფის დანახვა. მართალია, ვარდანი ალნიშნავს, რომ „ძორაგეტი არის ანისი და შირაკის გავარი“, მაგრამ მას ისიც უწერია, რომ „ქალაქი კარი ანისია“;² აშკარაა, რომ ვარდანი ითვალისწინებს ანისის მეფის უზენაესობას (აზგაპეტობას), და ძორაგეტსაც (ტაშირის სამეფოს) და ქალაქ კარსაც (ვანანდის სამეფო) ანისისადმი, ე. ი. ანი-შირაკის სამეფოსადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიად მიიჩნევს.³ ძორაგეტის მეფეში, ანისის მეფე, ჩვენი აზრით, არ უნდა ვიგულისხმოთ. ეს მით უფრო საეჭვოა, რომ იმავე კონტექსტში ასევე მოხსენიებულია „ალბანთა მეფე კვირიკე“ (ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავითი?); დაუჯერებელია, რომ ერთსა და იმავე კონტექსტში იყოს მითითებული ანი-შირაკის მეფე გაგიკი, როგორც (ტაშირ-ძორაგეტის) „ძორაგეტის მეფე“, და, ასევე, ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე, როგორც „ალბანთა მეფე“.

პირადად ჩვენ ვარდანის ალნიშნული ცნობის ალტერნატიული ინტერპრეტაციისკენ ვიხრებით. ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციის საფუძველზე, ანი-შირაკის მეფე გაგიკ I-ს (რომელიც ბაგრატუნიანთა აზგაპეტად, ოჯახური კლანის უფროსად ითვლებოდა) „ძორაგეტის მეფე გაგიკად“ ვერ ჩავთვლით; „ძორაგეტის მეფეში“ უფრო ტაშირ-ძორაგეტის რომელიმე სხვა მონარქი უნდა ვეძებოთ, თუნდაც კონიექტურის დაშვებით. „ალბანთა მეფე კვირიკეში“ კორიკე I ტაშირის მეფე არ უნდა ვიგულისხმოთ, ვინაიდან მისი ზეობა არ ემთხვევა არც ბაგრატ III-ის აქტივობას კახეთ-ჰერეთსა და მომიჯნავე რეგიონში, და მით უფრო არც ბაგრატ IV-ის ზეობას (კორიკე II ტაშირის მეფე კი ტახტზე ფადლ I-ის სიკვდილის შემდეგ ავიდა). გვრჩება მხოლოდ კვირიკე III დიდი, კახეთ-ჰერეთის მეფე, რომელიც იყო როგორც ბაგრატ III-ის, ასევე ბაგრატ IV-ის თანამედროვე.

თუ „ალბანთა მეფე კვირიკედ“ კვირიკე III-ს ჩავთვლით, შესაძლებელი ხდება საკმაოდ სარწმუნო, ალტერნატიული ინტერპრეტაციის ჩამოყალიბება. ერთსა და იმავე კონტექსტში ბაგრატის, კვირიკესი და ძორაგეტის მეფის მოხსენიება კი კარგად უხდება „მატიანე ქართლისას“ ერთ ცნობას: „და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის

¹ ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, გვ. 100-101.

² დამონმებულია ნაშრომიდან: ჭეიშვილი, ქუთათელა ანისისა, გვ. 20-21.

³ იქვე, გვ. 21.

ცხადია, არსებითი კონიექტურის დაშვება ჩვენც გვიზევს. ჩვენი ინტერ-პრეტაციით „ძორაგეტის მეფე გაგიკი“ უნდა გავიგოთ როგორც ძორაგეტის მეფე დავითი; მაგრამ წინარე ინტერპრეტაციით, „ძორაგეტის მეფე გაგიკი“ უნდა ჩაითვალოს ანი-შირაკის მეფე გაგიკად, და, გარდა ამისა, ასინქრონიის თავიდან აცილების მიზნით, „ალბანთა მეფე კვირიკე“ უნდა ჩაითვალოს ძორაგეტის მეფე დავითად, და კიდევ უნდა დავუშვათ, რომ ერთსა და იმავე კონტექსტში ძორაგეტის მეფე ენოდება ანი-შირაკის მეფეს, ხოლო ძორა-გეტის მეფეს ენოდება ალბანთა მეფე. ვფიქრობთ, ჩვენი ინტერპრეტაცია ნაკლებ კონიექტურას გულისხმობს და ნაკლებად ნაძალადევია. დავამატებთ ასევე, რომ ვარდანთან სამი ქრისტიანი მონარქია, ქართლის ცხოვრებაში კი ერთგან ორი, მეორეგან სამი. ის ადგილი, სადაც ქართლის ცხოვრებაში სამი ქრისტიანი მონარქია, ასევე ჩვენ ინტერპრეტაციას უდგება. ჩვენი ინტერ-პრეტაცია კალსახად უფრო სარწმუნოდ მიგვაჩინა.

ამ ეპიზოდის განხილვით ვცადეთ ვერტუენებინა, რომ არაბული და ქართული წყაროების პარალელურად, სომხურ წყაროშიც კახეთ-ჰერეთის მეფე, საფიქრებელია, აღბანთა მეფედ არის გამოყვანილი (resp. შაქის, შაქთა, ჰერეთის).

კახეთისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს მონარქთა ოფიციალური სომხური თუ სომბურენოვანი ტიტულატურის არარსებობა, ნარმოადგენს კიდევ ერთ, დამატებით ფაქტს, რომელიც ადასტურებს, რომ სანახევროდ კორიკიანი გაგიკის ტახტზე ასვლის შემდეგაც, კახეთ-ჰერეთის მონარქთა დინასტია ქართული ეთნო-კულტურული გარემოს ინტეგრალურ ნაწილად დარჩა - ვეთანხმებით გიორგი გაგოძინის ვარაუდს, რომ გამეფებისთანავე გაგიკი, დიდი ალბათობით, დიოფიზიტობაზე გადავიდა, მართლმადიდებლურად მოინათლა.² უფრო მეტიც, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მელქისედეკის დაწერილში მოხსენიებული კვირიკე მეფე დისწული კვირიკე მეფისა არის სწორედ რომ გაგიკი, რომელმაც ნათლობის სახელად ბიძის პატივსაკუმად კვირიკე ინოდა.

¹ მატიანე ქართლისა, გვ. 280-281.

² გაგოშიძე, კიდევ ერთხელ კვირიკეს ჯვრის შესახებ, გვ. 111-112.

* * *

სხვადასხვაენოვანი კომპონენტის ცალ-ცალკე განხილვის შემდეგ შეგვიძლია შევუდგეთ კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულების ზოგად მიმოხილვას, მისი ევოლუციისა და ისტორიული მნიშვნელობის ანალიზს. კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულებაში ვგულისხმობთ, როგორც მათ მიერ გამოყენებულ, ე. წ. ოფიციალურ, ასევე უცხოური წყაროების მიერ მათდამი მიკუთვნილ, ან, მათ აღსანერად გამოყენებულ, ე. წ. არაოფიციალურ ტიტულატურას.

კახეთის მთავართა თავდაპირველი საკუთარი, საფიქრებელია, ოფიციალური წოდება იყო ქორებისკობოსი - როგორც ჩანს, სასულიერო-საეკლესიო ხელისუფლების შემდგომი ფეოდალიზაციისა და საერო ხელისუფლებასთან შერწმყის პროდუქტი. კახეთის მთავართა ეს წოდება ზუსტად აისახა სომხურ წყაროებში, და, ასევე, აღ-მასუდისთანაც. ეს წოდება, სავარაუდოდ, მისი სასულიერო კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კახეთ-ჰერეთის მეფეებმაც კი შეინარჩუნეს, სამეფოს არსებობის ბოლომდე, რანთა და კახთა მეფის ტიტულის მიღების მიუხედავად. იმავდროულად, კახეთის სახელმწიფოში წანართა მიერ შესრულებული როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეპოქის არაბულ წყაროებში კახეთის მთავრებს ენოდებათ სანართა მაღიქი / საპიბი.

ჩვენი აზრით, კვირიკე III დიდმა ბაგრატოვანთა ქუთაისის კარზე (საპატიო?) ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, შესაძლოა, ასევე, ჰერეთის საბოლოოდ ანექსიის შემდეგ (და საფუძველზე) მიიღო მეფის (ან, ვახუშტის ცნობას თუ დავუჯერებთ, კახთა მეფის) ტიტული. ჰერეთის შემოერთებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ამ უკიდურესად სერიოზული მონაპოვრის ასახვა წოდებულებაში. კახეთის ქორებისკობოსმაც (თუ უკვე, დამატებით, მეფემაც), შესაბამისად, დაისაკუთრა ჰერეთის მეფეების წოდება - რანთა მეფე. ასე შეიქმნა დამატებითი ტიტული რანთა და კახთა მეფე / მფლობელი (თუმცა, როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ შემთხვევებში, დასაშვები იყო კახეთ-ჰერეთის მონარქისთვის ენოდებინათ უბრალოდ მეფეც). ჰერეთის აღმნიშვნელი რანთა მეფობის წინა პლანზე წანევა, შესაძლოა, კვირიკე III-ის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების ქრონოგიით (ჯერ ჰერეთი, შემდეგ კახეთი?), ან, ჰერეთის უდიდესი (რომ არა ვთქვათ, მეტი) მნიშვნელობით აიხსნებოდეს.

სწორედ, ვვარაუდობთ, ჰერეთის მეტი მნიშვნელობიდან და გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარე, არაბულ წყაროებში ქრება სანარიას (წანართა) ხსენება, სამაგიეროდ, კახეთ-ჰერეთის მმართველზე არაბ ავტორებს გადააქვთ ჰერეთის მონარქის წოდება შაქის მეფე / საპიბი. ვარდან დიდიც, დიდი ალბათობით, კვირიკე III-ს ალბანთა მეფეს უწოდებს. ბაგრატოვანთა მსგავსად, კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულებაც ასახავს მათი სახელმწიფოს გაფართოებას; ოღონდ, საყურადღებოა, რომ ჰერეთის

გარდა, საგარეო ექსპანსიის გზაზე მოხვეჭილი სხვა ტერიტორიები კახეთ-ჰერეთის მეფეთა ტიტულატურაში არ აისახა: არც შიდა ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი, ტერიტორია ქსანსა და არაგვს შორის, და არც თბილისი (რომელიც, ნუმიზმატიკური მონაცემებით, დროებით კვირიკე III დიდმა დაიმორჩილა).¹

გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფო უქცევა ბიზანტიის იმპერიის ინტერესთა და, ასევე, ზეგავლენის სფეროში. კახეთ-ჰერეთის მონარქებს უბოძებენ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს - მაგისტროსის, კურაპალატის (ბაგრატოვანთათვის ჩვეულებრივი ამბავია სინქრონულად არსებითად უფრო მაღალი რანგის ტიტულების ფლობა - კურაპალატის, ნოველისიმოსის, სევასტოსის, კესაროსის); სამეფო დინასტიის ზოგიერთი ნარმომადგენელი ბიზანტიის იმპერიის უშუალო მოხელეც კი ხდება და იქ მოღვაწეობს. კახეთ-ჰერეთის სამეფო კარი უმეტესწილად ინარჩუნებს მართლმადიდებლობას (ისლამზე გადასვლა დროებით და კონიუნქტურულ მოვლენას ნარმოადგენდა; მეორეს მხრივ კი, ტახტზე გაგიკის ასვლის მიუხედავად, მონოფიზობობა ვერ ვრცელდება). კახეთ-ჰერეთის სამეფო კარი ფლობს და მისაღებად მიიჩნევს საერო თუ სასულიერო ყოფაში ბერძნული ენის გამოყენებას, ქართულის პარალელურად, რასაც კვირიკე III-ის მინანქოვანი სანაწილე ჯვარი ადასტურებს. სახეზეა დუალიზმი: ქართულად მეფე კვირიკე ქრისტესგან განდიდებას ითხოვს, ბერძნულად კი უფალს შენევნას სთხოვს მისი მონა კვირიკე მაგისტროსი.

ჰერეთის ანექსიისთვის ბრძოლის პერიოდში და, მას შემდეგ, დავითი, კვირიკე II-ის ძე, თუ, კვირიკე III, დავითის ძე, იწყებენ საკუთარი, პრაქტიკულად ექსკლუზიურად არაბულენოვანი ზედნერილების მატარებელი საფასის ემისიას. ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს საგარეო პოლიტიკური წარმატებისა და, საფიქრებელია, ახლებური ეკონომიკური სიტუაციის (სავაჭრო კონტაქტები მეზობელ ისლამურ სახელმწიფოებთან, მათი საფასის შემოსვლა კახეთ-ჰერეთში) შედეგად და შემადგენელ ნაწილად. გარდა ამისა, კახეთ-ჰერეთის მომძლავრებული მონარქი დგას საგანგებო გამოწვევის წინაშე - როგორ მოახდინოს თავისი თავის პოზიციონირება უფრო ფართო, მეტნილად არაბულენოვანი და ისლამის მიმდევარი ელიტის მიერ მართულ პოლიტიკურ არენაზე, სადაც *lingua franca* არაბულია. გამოსავალს ხელისუფლება მასმედიის იმ დროისათვის ალბათ ყველაზე ეფექტურ საშუალებაში - მონეტის ემისიაში ხედავს. ამ უკანასკნელზე მისათითებლად ყალიბდება (ახალგამოგონილია?) კახეთ-ჰერეთის მონარქთა არაბული ტიტულატურა - მეფე, შემდგომში მეფე სამართლიანი, პრესტიული მეტაფორული წოდება - ქუნის-ღირსების მამა, მითითებით. ხაზი უნდა გაესვას დეკლარირებული

¹ Пагава, Монетные эмиссии Квирике III Великого.

სახელმწიფო პოლიტიკის ღირსებაში აყვანილ ცნებას - სამართლიანობა, რომელიც ცალკე დევიზადაც კი არის მითითებული ერთ-ერთ სამონეტო ტიპზე, და, შემდეგ, შეჯე სამართლიანში გადადის.

საპირისპიროდ ამისა, მამით სომეხი ბაგრატუნიანი და დედით ქართველი არევმანელი გაგიკის კვირიკე III დიდის ტახტზე ასვლის მიუხედავად, სომხური ენა, კულტურა, რელიგია კახეთ-ჰერეთის სამეფოში ფეხს ვერ იკიდებს, რაც დასტურდება კახეთ-ჰერეთის მეფეების მიერ საკუთარი ოფიციალური სომხური ტიტულატურის არქონითაც - კახეთ-ჰერეთი ქართულ სახელმწიფოდ რჩება.

ამგვარად, კახეთის მმართველთა ტიტული ქორეპისკოპოსი იცვლება გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სახელმწიფოს შედარებით ვრცელი წოდებულებით: ქორეპისკოპოსი, რანთა და კახთა მეფე / მფლობელი; ეს არის კახეთ-ჰერეთის მონარქთა ტიტულატურის ერთ-ერთი, ქართული, განზომილება; არსებობდა კიდევ ორი, ბიზანტიური - შესაბამისი ბიზანტიური საკარისკაციო ტიტულის სახით (მაგისტროსი, ან კურაპალატი), და არაბული - საკუთარი მონეტებით დამონწმებული (მეფე სამართლიანი, ღირსების მამა).

კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულების სამი იპოსტასი შესანიშნავად ასახავს იმ სამ ისტორიულ განზომილებასაც, რომელთა ფარგლებშიც წარიმართებოდა მათი საქმიანობა - ორიგინალური ქართული ბირთვი, რომელიც ცხოველქმედებს და ექსპანსიის გზას ადგას, ანუ, *de facto*, იბრძვის ქვეყნის გასაერთიანებლად; და, რომელიც, იმავდროულად, თავის ქართულ ორბიტაზე მოძრაობისას ორი საპირისპირო საგარეო ძლიერების პოლუსის მიზიდულობასაც განიცდის - 1) დასავლურ-ქრისტიანული, ბერძნულ-ბიზანტიურ სამოსელში გამოწყობილი, და 2) აღმოსავლურ-ისლამური, სახალიფოს ტრადიციების გამგრძელებელი და არაბულენოვანი - ორი ცივილიზაციის ზედდების სივრცეშია.¹

დამონწმებული წყაროები და ლიტერატურა

აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა - აბდალაძე ა., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბილისი, 1988.

¹ სომხური განზომილება კი, არც წოდებულების და არც სხვა რამე ასპექტის მხრივ კახეთისა თუ კახეთ-ჰერეთის სახელმწიფოს რეალურად არა აქვს.

- ბადრიძე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის -**
ბადრიძე შ., მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, უურნ. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, 1964, N 5, გვ. 87-99.
- ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების ნარჩერები -** ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბილისი, 1961.
- ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა -** ბატონიშვილი ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
- ბახტაძე, გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულა-ტურა -** ბახტაძე მ., გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურა XI საუკუნეში, კრ. „გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული“, 2019, 17-1, გვ. 107-128.
- ბახტაძე, ქართული და ბიზანტიური ტიტულატურის ურთიერთმიმართება -** ბახტაძე მ., ქართული და ბიზანტიური ტიტულატურის ურთიერთმიმართება ბაგრატიონთა საგვარეულოში IX-X საუკუნეებში, უურნ. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სპეციალური გამოშვება, შოთა მესხია - 100“, 2016, გვ. 208-226.
- ბახტაძე, ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში -** ბახტაძე მ., ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში, უურნ. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, 2015, 9, გვ. 89-124.
- გაბიძაშვილი, რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა -** გაბიძაშვილი ე., რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა: ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა, თბილისი, 1978.
- გაგოშიძე, ალავერდის ტაძრის თავდაპირველი კანკელის ფრაგმენტები -** გაგოშიძე გ., ალავერდის ტაძრის თავდაპირველი კანკელის ფრაგმენტები, კრ. „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი-თელავი-ალავერდი. 2006 წლის ნოემბრი“, თბილისი, 2007, გვ. 24-31.
- გაგოშიძე, ეპიტაფია კალაურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან -** გაგოშიძე გ., ეპიტაფია კალაურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, უურნ. „ძველი ხელოვნება დღეს“, 2017, 8, გვ. 124-127.
- გაგოშიძე, კიდევ ერთხელ კვირიკეს ჯვრის შესახებ -** გაგოშიძე გ., კიდევ ერთხელ კვირიკეს ჯვრის შესახებ, უურნ. „საქართველოს სიძველენი“, 2003, 4-5, გვ. 100-114.

გეორგიკა - გეორგიკა. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შე-სახებ. ტ. IV, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952.

ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი - ენუქიძე თ., სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ., ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., თბილისი, 1984.

ვარდანი, მხოლოდი ისტორია - ვარდან არეველცი, მხოლოდი ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბილისი, 2002.

თავაძე, ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა - თავაძე ლ., ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, დისერტაცია, თბილისი, 2012.

თავაძე, კურაპალატის ტიტული - თავაძე ლ., კურაპალატის ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლში (ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ვითარება IX-X საუკუნეებში), კრ. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სპეციალური გამოშვება. კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა“, 2012, გვ. 63-100.

თავაძე, მაგისტროსი საქართველოში - თავაძე ლ., მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, თბილისი, 2016.

თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები - თოფურია პ., აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბილისი, 1995.

კლდიაშვილი, გარეჯა - კონსტანტინოპოლი - კლდიაშვილი დ., გარეჯა - კონსტანტინოპოლი. თეოდორე გარეჯელის მიერ რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი, ჟურნ. „საქართველოს სიძველენი“, 2005, 7-8, გვ. 143-167.

ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება - ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963.

მატიანე ქართლისა - მატიანე ქართლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ, წიგნში: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2008.

მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება - მელიქიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1973.

მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები - მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980.

მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა - მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1966.

ნიკოლეიშვილი, კვირიკე დიდის გამოსახულება ზედაზნის კანკელის ფილაზე
- ნიკოლეიშვილი ი., ალავერდის ტაძრის აღმშენებლის, კვირიკე დიდის გამოსახულება ზედაზნის კანკელის ფილაზე, კრ. „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი-თელავი-ალავერდი, 2006 წლის ნოემბერი“, თბილისი, 2007, გვ. 17-23.

პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო - პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო, თბილისი, 1982.

პაპუაშვილი, კვირიკეს ჯვრის ქართულ-ბერძნული წარწერა - პაპუაშვილი თ., ხახულის კარედი ხატის კვირიკეს ჯვრის ქართულ-ბერძნული წარწერა, ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, 2000, 9, გვ. 72-78.

მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტირებით, თბილისი, 1953.

სილოგავა, ბალვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური ნივნები - სილოგავა ვ., ბალვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური ნივნები და მათი ანდერძ-მოსახესენებლები, კრ. „Dedicatio: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი (ეძღვნება აკად. მ. ლორთქიფანიძის დაბადების 75-ე წლისთავი)“, თბილისი, 2001, გვ. 223-286.

სტეფნაძე, საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის - სტეფნაძე ჯ., XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, კრ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბილისი, 1976, გვ. 156-165.

სუმბატ დავითის ძე, ცხორებაზ და უწყებაზ ბაგრატონიანთა - სუმბატ დავითის ძე, ცხორებაზ და უწყებაზ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ, წიგნში: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2008.

ფალავა, საქართველოს მეფეთა წოდებულება - ფალავა ი., სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და საქართველოს მეფეთა წოდებულება. ნაწილი 2 (იბეჭდება).

ქართული წარწერების კორპუსი - ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980.

- ქუთათელაძე, ქვემო ქართლი - ქუთათელაძე ქ., ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, ორბელთა გვარის ისტორია), თბილისი, 2001.**
- ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი - ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ, წიგნში: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2008.**
- ყაუხჩიშვილი, ბერძნული ნარნერები საქართველოში - ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული ნარნერები საქართველოში, თბილისი, 1951.**
- ჭეიშვილი, ქუეყანა ანისისა - ჭეიშვილი გ., ქუეყანა ანისისა, თბილისი, 2017.**
- ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია - ჯავახიშვილი ი., საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია (გადმობეჭდილი „ცნობის ფურცლიდან“, ტფილისი, 1905).**
- ჯაფარიძე, ნანართა შესახებ - ჯაფარიძე გ., ნანართა შესახებ, „ძიებანი“, 1, 2012, გვ. 83-96.**
- Alexanyan, Paghava, *The Heirs of Kviriike III the Great* - Alexanyan D., Paghava I., *The Heirs of Kviriike III the Great, King of Kakheti-Hereti: Numismatic Legacy*, კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, 2017, 10, გვ. 326-337.**
- Minorsky, *Studies in Caucasian History* - Minorsky V., *Studies in Caucasian History*, I. *New Light on the Shaddādids of Ganja*, II. *The Shaddādids of Ani*, III. *Pre-history of Saladin*, London, 1953.**
- Paghava, *Additional Data on the Numismatic History of K'akheti and Hereti Kingdom: New Coin Type of Aghsartan I (or II) and Coin Type Tentatively Attributed to Davit, Son of Kviriike II* (in press).**
- Qibla, *Akhbār al-Dawlat al-Saljūqiyya* - Qibla A., *An Unexploited Source for the History of the Saljūqs: a Translation of and Critical Commentary of the Akhbār al-Dawlat al-Saljūqiyya*, Thesis, Edinburgh, 1985.**
- Беручашвили, Бичикашвили, *Новая атрибуция креста Квирике* - Беручашвили, Н., Бичикашвили И., *Новая атрибуция креста Квирике Хахульского складня*, „Византийский Временник“, 2002, Том 61 (86), გვ. 172-186.**
- Минорский, *История Ширвана и Дербенда* - Минорский В., *История Ширвана и Дербенда X-XI веков*, Москва, 1963.**
- Пагава, *Монетные эмиссии Квирикэ III Великого* - Пагава И., *Монетные эмиссии Квирикэ III Великого, царя Кахети и Эрети* (в печати).**
- Хускивадзе, *Грузинские эмали* - Хускивадзе Л., *Грузинские эмали*, Тбилиси, 1981.**
- Юзбашян, *Армянские государства эпохи Багратидов и Византия* - Юзбашян К., *Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв.*, Москва, 1988.**

Acting in Three Dimensions: the Titulary of Kakheti and Kakhet-Hereti Monarchs

Summary

The present paper analyzes the titles of the monarchs of Kakheti and Kakhet-Hereti, and its historiographic value, based on varied historical material: metal artifacts; lapidary inscriptions; historical charters; narrative primary sources. In terms of methodology, Georgian, Byzantine, and Arabic titulary (of the monarchs of Kakheti and Kakhet-Hereti) was examined, as well as the data provided by Armenian sources, taking into consideration the reliability of each source and type of title (official vs. non-official) and synthesizing the data.

Georgian official lapidary inscriptions prove that the principal Georgian title was *Chorepiscopus*. Kvirike III appropriated the title of *King of Rans and Kakhs* (Kalaura inscription, Georgian narrative sources) / *Lord of Rans and Kakhs* (Torgha inscription).

The title of *Chorepiscopus* presumably implied a fusion of ecclesiastic authority with secular one. We demonstrated that it was never abandoned, apparently still retaining spiritual significance.

Possibly, exclusively ecclesiastic comprehension of the title of *Chorepiscopus* (certain associated stigma) prevented David IV from appropriating it along with *King of Rans and Kakhs* after annexing this kingdom.

What induced Kvirike III to become the *King of Rans and Kakhs*, and why the former monarch of Kakheti placed *Rans* (= Hereti) at the first place? We conjectured that Kvirike III was influenced by the Bagratid royal etiquette and social hierarchy; and adopted the title of *King* formerly owned by the Kings of Hereti. Hers could be placed at the first place due to being subdued first; or, Hereti's major significance.

Constantine VII Porphyrogennetos designated the ruler of Kakheti as ἄρχοντ. We have provided arguments that Kvirike III (and not II) was *magistros*; Aghsartan I became *couropalates*. We argued, that Kakhet-Hereti's sovereignty was jeopardized by being included into the Caucasian segment of the Byzantine Commonwealth.

Arabic sources designated the monarchs of Kakheti as *Kings* or *Lords* of *as-Sanariya*. Once a version of *Chorepiscopus* was utilized. Since the 11th century, they became *Kings* or *Lords* of *Shakki*, indicating the significance of *Hereti*.

Recent numismatic discoveries proved that David (?), Kvirike III, Gagik, Aghsartan I (possibly also Aghsartan II) had official Arabic titles: *King the Just* and metaphoric kunya *Father of Virtue*. Issuing coins with predominantly or exclusively Arabic legends was probably predetermined by economic relations with Muslim neighbors; influence of the Islamic monetary tradition; concern for self-presentation in the Muslim area.

Armenian sources confirm that the monarchs of Kakheti had the title of *Chorepiscopus / Great Chorepiscopus*. Vardan the Great possibly also employed the title of *King of Albans* (= Hereti). The Monarchs of Kakheti and Kakhet-Hereti had no official Armenian title.

The *Chorepiscopi* of Kakheti retained this title, but adopted that of *King (Lord) of Rans and Kakhs*; reflecting the expansion of their dominion (Georgian dimension of their titulary). They were acting also in two additional dimensions, Byzantine, and Oriental, as attested to by their *official* Byzantine and Arabic titles. Despite the dynastic alliance with Armenian Bagratids, no Armenian titles were adopted, indicating the soundness of Kakhet-Hereti's Georgian and pro-Chalcedonian, anti-Monophysite stance.

The titulary of the monarchs of Kakheti and Kakhet-Hereti provides a reliable primary source on the social, political, economic and cultural history of this medieval Georgian state.